

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

იხილეთ ჩანართი



„ამერიკა 1787 - საქართველო 2009“

A3



დედაქალაქის მარცხენა

A10



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლევთ უკეთესს



პანის სადაზღვეო ჯგუფი

რუსული ციებ-ცხელება

ნატო-ს მიერ საქართველოში დაგეგმილია წვრთნებმა მოსკოვის რამდენიმე დღიანი ისტერიკა გამოიწვია. საქართველოსთვის "აგრესიობაში" წაყენებული ჩვეული ბრალდებების გამოვლენის გარდა, კრემლი შანტაჟისა და მუქარის ენით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსაც ესაუბრება. ოკუპანტების თავხედობას ბრიუსელსა და ვაშინგტონში მშვიდად პასუხობენ. მოსკოვის მოთხოვნით წვრთნების გაუქმებას ან გადადებას არავინ აპირებს.

დიმიტრი ავალიანი

წვრთნები ნატო-ს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისთვის" ფარგლებში საქართველოში 6 მაისს დაიწყება და თვის ბოლომდე გასტანს. თავდაპირველად დაგეგმილია სამეთაურო-სამშტაბო წვრთნა "კო-

პერატივ ლონგბოუ 09", შემდეგ კი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ჩატარდება სავიწრო წვრთნა "კოოპერატივ ლანსერ 09". სულ წვრთნებში ნატო-ს წევრი და პარტნიორი ოცამდე ქვეყნის ათას სამსამდე სამხედრო მიიღებს მონაწილეობას.

"საქართველო აგრესორია. ჩვენ სხვას ვერაფერს ვუწოდებთ

იმას, რაც ხდება, თუ არა აგრესორის სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერას," - ამის შესახებ გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სერგეი რიაბკოვმა განაცხადა. მისი თქმით, წვრთნები ქართულ შეიარაღებულ ძალებთან ოპერატიული თავსებადობის განვითარებას გულისხმობს, ასევე მთელი რიგი ამოცანების დამუშავებას, რაც ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობას ზრდის. შესაბამისად, რიაბკოვის თქმით, არგუმენტები იმის შესახებ, რომ წვრთნები დიდი ხნის წინ დაიგეგმა და მშვიდობიანი ხასიათისაა, "იაფფასიანი და არადამაჯერებელია."

მან ვაშინგტონის მიმართაც გამოთქვა საყვედური საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გაგრძელების გამო. რიაბკოვის განცხადებით, "მოსკოვი შეშფოთებულია უდავო აზრის იგნორირებით - აგრესორის გადაიარაღება დაუშვებელია, ეს პირდაპირი გზაა მდგომარეობის დესტაბილიზაციისკენ."

კატეგორიული განცხადება საქართველოში დაგეგმილი წვრთნების შესახებ გასული კვირის ბოლოს რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა გააკეთა.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე

უკან დახევა წარმოუდგენელია

საკნების გეტო თბილისში

დათო ბაჩისონია

გუშინ ოპოზიციის ლიდერები კვლავ შეიკრიბნენ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, რათა საზოგადოებისთვის მომავალი სამოქმედო გეგმა გაეცნოთ.

ქრისტე აღსდგა - ამ სიტყვებით გახსნა გუშინდელი მიტინგი ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ. ჩვენ თავისუფლების მოედნიდან პარლამენტის შენობამდე ვინყვებთ საკნების ქალაქის მშენებლობას და ეს იქნება მანამ, სანამ არ ნავა მიხეილ სააკაშვილი. ერთ დღეში საკნების წრე შემოერთდება პარლამენტის, კანცელარიის და საკრებულოს შენობებს, - განუცხადა მომიტინგეებს ლევან გაჩეჩილაძემ. სანამ აქცია აქტიურ ფაზაში შევიდოდა, რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა მლიანსი საქართველოსთვის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.

უკან დახევა წარმოუდგენელია, - ალასანიას ამ პათოსს ეთანხმებოდნენ პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი მშვიდობიანი დემონსტრანტები.

ბაზრძალაბა A5 გვერდზე



AFP - 2009

გამოსავალის ძიებაში

დავით დარჩიაშვილი

"დიპლომატი, დიპლომატი" - საჯარო წამღერებით გამოხატა ოპოზიციის ერთ-ერთმა მეთაურებელმა ლიდერმა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება კომპრომისის ძიების შესაძლებლობისადმი. ამ შესაძლებლობას, საღი აზრიდან და ძალთა რეალური ბალანსიდან გამომდინარე, ხელისუფლება სთავაზობს ოპოზიციას. ოპოზიცია ნათელ და ერთიან პასუხს ავციანებს.

მეჩვენება, რომ მისი ლიდერების ნაწილი თავისივე რადიკალური ულტიმატუმის ტყვეა ან/და რიგით მხარდამჭერებში სახის შენარჩუნება უნდა. არც ისაა გამორიცხული, რომ მავანს ისევე ეგონოს, რომ დრო მის მხარეზეა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ნერვები უმტყუნებთ - ერთიანად ან ცალცალკე. ყოველ შემთხვევაში, დაპირისპირების ამჟამინდელი არსი ასე მოჩანს "ბარიკადის" მეორე მხრიდან. სწორედ ბარიკადების სულისკვეთება მოჩანს მონოღებაში, რომ

ოპოზიციის მომხრეებმა დაცვისა თუ თავდასხმითა პრევენციის კომიტეტები შექმნან და თბილისის ქუჩები აკონტროლონ.

უდავოა, რომ მოხშირებული ღამის ჩხუბები დასავლობა და გამოსაძიებელი. მაგრამ თუ ამას პოლიციის ნაცვლად მოხალისეები გააკეთებენ, რომელთა ლიდერები, იმავდროულად, ხელისუფლების მომხრეებზე მორალური წნეხის განხორციელებას ითხოვენ, სიტუაციის ესკალაციის პერსპექტივა რეალური ხდება. ძნელი გა-

მოსაცნობი არაა, თუ რა სახე შეიძლება მიიღოს "მორალურმა წნეხმა" პრაქტიკაში და თანაც ქუჩაში. ამის ნიმუშად შეიძლება ავიღოთ ქუჩის გადაკეცილი დაკავებული ერთ-ერთი მომიტინგის მიერ მანქანის საჭესთან მჯდომი ქალბატონის სიტყვიერი შეურაცხყოფა, რისი კადრებიც ერთად ვიხილეთ. არსად, გარდა ფიზიკური დაპირისპირებისა, ასეთი ქმედებები არ მიგვიყვანს.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

ყოფილი და ახლანდელი სპიკერების განსხვავებული პოზიციები

პარლამენტი მიმდინარე კვირაშიც შეზღუდული რეჟიმით აგრძელებს მუშაობას. მოქალაქეებს, მათ შორის ჟურნალისტებს, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობაში არ უშვებენ. ასეთი დისკომფორტისთვის პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საზოგადოებას ბოდიშს უხდის და აცხადებს, რომ ეს ხელისუფლების არჩევანი არ არის.

პარლამენტის შენობის პიკეტირების ფონზე ხელისუფლების ამოცანაა, მინიმუმამდე დაიყვანოს ყოველგვარი პროვოკაციის შესაძლებლობა, შეზღუდვები კი პარლამენტში ჟურნალისტებისა და მოქალაქეების დაშვებაზე მაშინვე მოიხსნება, როგორც კი პარლამენტთან მიმდინარე აქციები ნორმალურ სახეს მიიღებს," - აღნიშნავს ბაქრაძე.

განსხვავებული პოზიცია აქვს პარლამენტის ექს-სპიკერ ნინო ბურჯანაძეს, რომლის თქმითაც, მისი სპიკერობის პერიოდში ბიუროს სხდომა მალევე არასდროს ჩატარებულა.

ექვსი წელი ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარე და ასეთი რამ არ მახსოვს. დღევანდელი ბიუროს სხდომა მხოლოდ სატელევიზიო კადრებისთვის ჩატარდა. სინამდვილეში, პარლამენტი ვერ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლებს ხელს არაფერ უშლის, მათ თქვენი ემინიათ," - განუცხადა გუშინ მომთხრობის განყოფილებაში მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერმა ბურჯანაძის თქმით, პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომა, სულ რაღაც, 6 წუთსა და 17 წამს გაგრძელდა.

ექს-სპიკერის განცხადებების პასუხად, პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე აცხადებს, რომ ორი წლის წინანდელი და ამჟამინდელი პროცესების ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება, რადგან ისინი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ამ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრივ საკმაოდ ბევრი პოზიტივია, რადგან მაქსიმალურად ვცდილობთ სიმშვიდის შენარჩუნებას და რისკების მინიმუმამდე დაყვანას, - დასძენს დავით ბაქრაძე.

საკუთარი ინფორმაცია

ადამიანის უფლებათა ცენტრი დიალოგის გამართვაზე ხელისუფლების ინიციატივას მიესალმება

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება საქართველოს მთავრობის ინიციატივას, რომელიც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის მოსაგვარებლად ოპოზიციასთან დიალოგის გამართვას ითვლისწინებს. როგორც ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, მსგავსი ინიციატივა აღსანიშნავია განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ხელისუფლება წლების განმავლობაში განსხვავებული აზრისა და პოლიტიკური ოპოზიციის იგნორირებას ახდენდა. ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრში აღნიშნავენ, რომ დიალოგი უნდა იყოს არა პოლიტიკოსთა თვითმიზანი, არამედ რეალური ცვლილებების განხორციელების საშუალება. ამ ცვლილებების მისაღწევად კი ხელისუფლებამ რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადადგას. კერძოდ, უნდა განხორციელდეს საკონსტიტუციო ცვლილებები, ობიექტურად იქნეს გამოძიებული 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია იმედში შეჭრისა და მაუწყებლობის შეჩერების ძალადობრივი ფაქტები, გადაიხედოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელობისა და დირექტორთა საბჭოს დანიშვნის საკითხები, გაუქმდეს ტელეკომპანია 1202-ისთვის ლიცენზიის შეჩერების უკანონო ბრძანება, მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციების დეცენტრალიზაცია, ასევე გადაიხედოს პოლიტიპატიმართა საქმეები და გატარდეს საჭირო ზომები ადამიანის პოლიტიკური ნიშნით დევნის შესაჩერებლად. დიალოგი წარმატებული ვერ იქნება, თუკი მხარეები ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს გვერდს აუვლიან," - ნათქვამია ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებაში. ორგანიზაცია აქვე შემოთავაზებს გამოხატავს საპროტესტო აქციების მონაწილეთა წინააღმდეგ ძალადობის ფაქტების გამო და ხელისუფლებას მათი აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯისკენ მოუწოდებს.

მედიაინუსი

პირველი ბავშვი

“ეს არასწორი გადაწყვეტილებაა. როდესაც ესა თუ ის სამხედრო ბლოკი ატარებს წვრთნებს იმ წერტილების მახლობლად, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ დაძაბულობის ძალიან მაღალი ხარისხი შეინიშნებოდა და დღესაც რთული მდგომარეობაა, ეს სხვადასხვა გართულებების საფრთხეს შეიცავს,” - განაცხადა მედვედევმა.

“ასეთი გადაწყვეტილებები იმედგაცრუებას იწვევს და ხელს არ უწყობს ნატო-სა და რუსეთს შორის სრულყოფილი კონტაქტების განახლებას. ჩვენ თვალყურს მივადევნებთ მოვლენებს და საჭიროების მიხედვით ამა თუ იმ გადაწყვეტილებას მივიღებთ,” - დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა.

ამას მოჰყვა ნატო-ში რუსეთის ელჩ დმიტრი როგოზინის განცხადება, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ ნატო საქართველოში წვრთნების ჩატარებაზე უარს არ იტყვის, 7 მაისისთვის დაგეგმილ რუსეთი-ნატო-ს საბჭოს სხდომაში გენერალური შტაბების ხელმძღვანელთა დონეზე, რუსული მხარე მონაწილეობას არ მიიღებს.

როგოზინმა საქართველოში წვრთნების ჩატარებას პროვოკაცია უწოდა და დაიშურა კიდევ: “ჩვენ ვეუბნებით ნატო-ს - თუ თქვენ, ჩვენი გაფრთხილების მიუხედავად, ამ წვრთნებს მაინც ჩატარებთ, თქვენი სამხედროების უსაფრთხოებაზე სრული პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ. თუ მათ რაიმე მოუვათ, გაითვალისწინეთ, რომ გაგაფრთხილეთ.”

მისი თქმით, საქართველოს

რუსული ციხე-სხელება

პრეზიდენტი შეეცდება, საქართველოში ნატო-ს ძალების ყოფნა პროვოკაციისა და კონფლიქტში ალიანსის ჩათრევისთვის გამოიყენოს.

თუმცა, ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ რუსულ მუქარაში, რომელიც რუსეთი-ნატო-ს საბჭოს მუშაობის ჩაშლას ეხება, ტრაგედია ვერ დაინახა. “ნატოსთვის არაფერი იცვლება. ალიანსის წევრი ქვეყნების შტაბების მეთაურთა შეხვედრა შედეგადაც და რუსეთი მასზე მიწვეულია,” - აღნიშნა აპატურაიმ.

მისი თქმით, ნატო-მ საქართველოში წვრთნების ჩატარების შესახებ რუსეთს ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე შეატყობინა. “ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ეს წვრთნები რეგიონში სტაბილურობას არაფრით ემუქრება,” - განაცხადა ნატო-ს წარმომადგენელმა.

კრემლის პოზიცია არც ვაშინგტონმა გაიზიარა. ნატო-ს წვრთნები საქართველოში ალიანსსა და თბილისს შორის ურთიერთობების “ნორმალური შემადგენელი ნაწილია,” - ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა.

“წვრთნების მიზანია საქართველოსთვის დახმარება ნატო-ს სტანდარტებთან მიხლოების საქმეში. ნატო ამ წვრთნებს რუსეთთან რამდენიმე თვის განმავლობაში განიხილავდა, ეს სურპრიზი არ ყოფილა და რუსეთმა შესანიშნავად იცის ამ წვრთნების მიზნები,” - აცხადებენ სახელმწიფო დეპარტამენტში.

“ასეთი წვრთნები მრავალი წელია, იმართება. ეს რეგულარული მოვლენაა. ამაში მოუ-

ლოდნელს არაფერს ვხედავ,” - განაცხადა აშშ-ს ელჩმა რუსეთში ჯონ ბაიერლიმ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ თავის მხრივ აღნიშნა, რომ “საქართველოს აქვს კონსტიტუციური უფლება, ჩაატაროს თავის სუვერენულ ტერიტორიაზე რა წვრთნებიც უნდა და რუსეთს არ აქვს უფლება, ჰქონდეს აზრი ამის თაობაზე.”

“ნატო-ს წვრთნებზე კომენტარის გაკეთების ნაცვლად, რუსეთმა უმჯობესია, საქართველოს დეოკუპაციის პროცესი დაიწყოს,” - განაცხადა ვაშაძემ.

უცხოელ მიმომხილველებსაც არ გამოპარვიათ, რომ ამ დროს რუსეთი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში თავად ატარებს წვრთნებს, თანაც ისე, რომ ამას არც მალავს. “რუსულმა მხარემ მიიღო გამაფრთხილებელი ზომები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რესპუბლიკების და იქ დისლოცირებული ჩვენი სამხედროების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის,” - განაცხადა რუსული საგარეო უწყების წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მოსკოვთან თანამშრომლობა ავგისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის გამო შეაჩერა. თუმცა, მოსკოვთან თანამშრომლობის განახლების შესახებ ნატო-მ ოფიციალურად ალიანსის აპრლის სამიტზე განაცხადა და რუსეთი-ნატო-ს საბჭოს მუშაობაც ოფიციალურად განაახლა. ამ გადაწყვეტილებაში დიდი როლი ითამაშა ნატო-ს ავღანეთის ოპერაციაში, რომლის წარმატებისთვისაც ალიანსს რუსეთის გავლით

ტრანზიტი და, შესაბამისად, მოსკოვთან კარგი ურთიერთობა სჭირდება.

ამის მიუხედავად, ნატო კვლავ გამოხატავს რუსულ აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ და აცხადებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არასდროს ცნობს.

თუმცა, როგორც ჩანს, კრემლმა მიიჩნია, რომ ნატო-სთან საქართველოს საკითხი მოგვარებული აქვს და ამიერიდან ალიანსი ჩვენს ქვეყანაში ისეთს არაფერს გააკეთებს, რაც რუსეთს არ მოეწონება.

ამ თვალსაზრისით კრემლისთვის მტკიცეული სიურპრიზი გახდა საქართველოში გეგმიური წვრთნების გამართვა. იმის მიუხედავად, რომ პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისთვის” ფარგლებში მიმდინარე წვრთნები არავითარ კავშირში არ არის საქართველოს ალიანსში განვერიალების პერსპექტივებთან და აღნიშნულ წვრთნებში რუსეთის მოკავშირე ქვეყნებიც მონაწილეობენ.

მოსკოვისთვის ყველაზე მტკიცეული გახდა არა იმდენად წვრთნების სამხედრო მნიშვნელობა, რამდენადაც ის, რომ ალიანსი თბილისთან ურთიერთობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს და არ განიხილავს საქართველოს როგორც რუსეთის გავლენის სფეროს ან “გარიყულ” ქვეყანას და “აგრესორს”. ამიტომაც კრემლისთვის, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე ავგისტოს “გამარჯვებისგან” დივიდენდების მიღების იმედი ჯერ არ დაუქარავს, წვრთნების ჩაშლა ღირსების საქმედ იქცა.

დიალოგის დილემა

ნისტრი ნიკა რურუა.

მომღერალ მერაბ სეფაშვილს გული წყდება, რომ დავით ბაქრაძესთან შეხვედრას ხელოვნების სფეროს ის წარმომადგენლები არ დასწრებიან, რომლებსაც ხელისუფლების მიმართ უფრო რადიკალური დამოკიდებულება აქვთ.

ძალიან მაინტერესებს იმ კოლევების არგუმენტების მოსმენა, რომლებიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის დაწყებას სთავაზობენ,” - აცხადებს სეფაშვილი. მისივე თქმით, ნებისმიერი რთული ვითარებიდან ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი დიალოგია და, შესაბამისად, საინტერესოა, რა ალტერნატიული მოსაზრებები აქვთ კოლევებს.

დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს კიდევ ერთი ცნობილი მომღერალი ბუბა კიკაბიძე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პუტინის გეგმების განხორციელებას არ გამოირიცხავს.

საინტერესოა, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ეს აქციები არ დასრულდა და ერთი ტყვია მაინც გავარდა? უნდა გავიხსენოთ პუტინის განცხადება, რომ რუსეთმა რაც გააკეთა, გააკეთა, დანარჩენს კი ქართველი ხალხი გააკეთებს,” - რუსულ საფრთხეზე აკეთებს აქცენტს ქართველი მომღერალი.

შეხვედრის კიდევ ერთი მონაწილე, კომპოზიტორი რუსუდან სებისკვერაძე კი ფიქრობს,

რომ მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომით ქვეყანაში არაფერი შეიცვლება.

მიხეილ სააკაშვილი რომ გადადგეს და არჩეულ იქნას ახალი პრეზიდენტი, ერთი თვის შემდეგ კვლავ იგივე მოვლენები განახლდება, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები უკვე იმ პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ, - მოჯადოებულ წრეზე საუბრობს რუსუდან სებისკვერაძე. მისივე განცხადებით, დიალოგის დაწყება აუცილებელია, რადგან ეს არის ცივილური ფორმა.

მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი კი ხელისუფლებას შეახსენებს ლოზუნგს - [საქმე ლაპარაკის ნაცვლად] და აცხადებს, რომ [პოზიციადაკარგული] ადამიანი, რომელმაც [არ იცის, ვის ენდოს].

საზოგადოება სწორედ ამ პოზიციაშია და ნდობა დაკარგულია როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიმართ. ეს ნდობა აღსადგენია და ხელისუფლებამ უნდა გაიხსენოს თავისი მთავარი ლოზუნგი და დაპირება,” - აღნიშნავს მსახიობი.

შეხვედრაზე ყველაზე კრიტიკული მოსაზრებები რეჟისორებმა ელდარ შენგელაიამ და ლანა ლოლობერიძემ დააფიქსირეს. თავად რეჟისორებმა ამის შესახებ კომენტარის გაკეთება არ ისურვეს, თუმცა მათ პოზიციებზე შეხვედრის სხვა მონაწილეებმა ისაუბრეს.

კერძოდ, ელდარ შენგელაიას აზრით, საკმარისი არ არის, რომ

დიალოგის აუცილებლობაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საუბრობს, რადგან ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომა და დიალოგი სწორედ პრეზიდენტმა უნდა შესთავაზოს.

რაც შეეხება ლანა ლოლობერიძეს, რეჟისორი დაინტერესდა, რატომ არ ანაღნიშნებს ხელი-სუფლებას, თუ [რა ეწყინა საზოგადოებას და რატომ არის ქვეყანაში ამხელა საპროტესტო მუხტი].

შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აკეთებს დასკვნას, რომ საზოგადოების მოთხოვნაა, პოლიტიკოსებმა ერთმანეთთან საუბარი ისწავლონ და საკუთარი პრობლემების გამო ქვეყანას პრობლემა არ შეუქმნან.

ის ფაქტი, რომ რადიკალური ოპოზიცია უარს ამბობს დიალოგზე, არ უნდა გახდეს ქვეყანაში რეფორმების განხორციელების შემაფერხებელი. პოლიტიკური პროცესები უნდა განვითარდეს რეფორმების შემდგომი განვითარების კუთხით,” - მიიჩნევს პარლამენტის თავმჯდომარე.

როგორც ბაქრაძე აცხადებს, ხელისუფლება თანამშრომლობას გააგრძელებს იმ ოპოზიციურ ძალებთან, რომლებიც მოლაპარაკებებზე თანხმობას აცხადებენ.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთი "24 საათის" გამოცემაელი შპს "მეზა". რედაქტორ-გამომცემელი: გიგუშა ფარუშვილი, პაატა მუხამბია.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შალვა ჯაფარიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშინია (რეჟია), ანა ფარუშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი: ირაკლი ლევიანი. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 79, 2209 49. ელფოსტა: 24საათი@24hours.ge

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

გამოსავლის ძიებაში

პირველი გვერდიდან

შესაბამისად, ვითარებიდან ტაქტიკური გამოსავალი სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან უკანონობის აღკვეთა - ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს და რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს ეს უკანონობა. კანონის უზენაესობა ქუჩაში მყარდება არა ინდივიდუალური თუ ჯგუფური ინიციატივებით, არამედ ფორმიანი და სპეციალურად მომზადებული სახელმწიფო მოხელეების მიერ. შესაძლებელია ისიც, რომ განსაკუთრებულ სიტუაციებში მოქალაქენი ჩაერთონ სამართალდაცვაში. მაგრამ ოფიციალურ სტრუქტურებთან თანამშრომლობით და არა მათთან დაპირისპირებითა თუ მათი ალტერნატივის შექმნით. ასეა დემოკრატიულ ქვეყნებში. თუმცა "ქართული აკადემიის" ზოგიერთი წარმომადგენლის თუ მეგობრის საჯარო განცხადებები მაფიქრებინებს, რომ ოპოზიციის ნაწილს ნამდვილად არ მიაჩნია სასურველად ევროპული (ე.ი. დემოკრატიული) ღირებულებების დამკვიდრება საქართველოში.

გახშირებული საუბრები მანდილოსნის პატივისცემის თბილისური სპეციფიკიდან წითელზე თბილისური მანქანის გავლის აუცილებლობამდე, უკაცრავად პასუხია და, უკვე ანტიდასავლური კვაზი-იდეოლოგიის ფორმას იღებს. იმედია, ოპოზიცია ამ იდეოლოგიურ საკითხზე ჩამოყალიბდება და ეგებ სამომავლოდ ესეც იყოს დიალოგის თემა.

რაც შეეხება დიალოგის პოლიტიკურ და კონსტიტუციურ თემატიკას: მიუღებელია "შენ ნადი - მე მოვალ". ამაზე ხშირად ითქვა. სხვა ყველა საკითხი განხილავდა და მათზე შეთანხმება - შესაძლებელი. ოღონდ შეთანხმება არ ნიშნავს ცალმხრივ დათმობას. რაც შეეხება "წასვლა-მოსვლის" თემატიკას, ამაზე თანხმობას გვიკრძალავს თუნდაც ის "ჯიგარი", რის ნაკლებობაზე დღენიადაგ აშკარად შეურაცხყოფილად მიგვიითებებს ქართული აკადემია - უფრო სერიოზულად კი, გავიმეორებ, რომ არსებობს ხელისუფლების მომხრე მოქალაქეთა არც თუ პატარა ჯგუფი, რომლის მხარეზეც კონსტიტუცია და კანონი, არასაც ემოციურად მეტი პატივი უნდა მიეგოს ნებისმიერ ცივილიზებულ საზოგადოებაში. ნოვგოროდის ვერეს თუ სპარტის სახალხო კრებების მართვის სტილი კი ისტორიას ჩავაბაროთ. ამ უკანასკნელში ის ითვლებოდა გამარჯვებულად, ვისი მომხრეებიც უფრო ხმამაღლა დაიყვირებდნენ. შეიძლება ეს უფრო "ჯიგარულია", მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ჩვენი შვილების მომავლისათვის კონსტიტუციის, საარჩევნო ციკლების და ვადების პატივისცემა სჯობია. არც ერთ ქვეყანაში არ ცვლიან პრეზიდენტებს თუ მთავრობებს იმის მიხედვით, თუ რომელ ქალაქში ვინ უფროა

მოცემულ მომენტში რეიტინგული. მაშ, რაა მისაღები? თავად კონსტიტუციის ცვლილება იმ მიმართულებით, რომ შეიზღუდოს პრეზიდენტის ძალაუფლება. ისტორია გვიჩვენებს, რომ, რაც უნდა გამართლებული იყოს რეფორმებისათვის უსაფრთხოების ამოცანებიდან გამომდინარე, ძალაუფლების კონცენტრაცია სერიოზული რისკების და ვნებათაღელვების გენერატორია. უნდა გაფართოვდეს თვითმმართველობის როლიც. თუმცა ჯერაც ბოლომდე არ აღმოფხვრილი მიდრეკილება ქუჩის თუ უბნის რაზმების ფორმირებისაკენ მაფიქრებინებს, რომ პოლიციის სწრაფი მუნიციპალიზაცია თუ შერიგების ინსტიტუტის შექმნა ნაადრევია. ზოგს ავიწყდება, რომ სულ ცოტა ხანია გასული, რაც პოლიცია აღარაა კრიმინალური სამყაროს დანაშაულის თუ სუროგატი. სამაგიეროდ, მეტია გასაკეთებელი პოლიციაზე სამოქალაქო კონტროლის თვალსაზრისით. თუ დიალოგის სურვილი იქნება, ამაზეც შევთანხმდებით.

საჭიროა საუბარი და ოპერატიული შეთანხმება საარჩევნო კოდექსსა და ადმინისტრაციასთან. იმიტომ კი არა, რომ ამჟამინდელი ვარიანტი სრულიად ანტიდემოკრატიულია, არამედ იმისათვის, რომ პოლიტიკურ ძალებს შორის მიღწეულ იქნას თანხმობა. მე ძალიან არ მინდა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიული პრინციპით კომპლექტდებოდეს. ამას, მინიმუმ, პარტიათა შემდგომი ზრდა-განვითარება უნდა უძღოდეს წინ, რათა გამოირიცხებოდეს პოლიტიკური ბრძოლა თუ გარიგებები ნებისმიერ ფასად. მაგრამ შეიძლება პოლიტიკური მიზანშეწონილობის ლოგიკამ ისევე აქეთ წაგვიყვანოს. თუმცა შეიძლება დამატებითი ნაბიჯები გადაიდგას პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის სისტემური გარანტიების შესაქმნელად. მოკლედ, ეს პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების საკითხი უნდა გახდეს, ისევე როგორც თბილისის მერის არჩევის წესი.

დიალოგის პროცესში განსახილველი თემატიკის მეტ დეტალებში შესვლა სპეკულაცია იქნებოდა. მთავარია მაგიდასთან დასხდომა და გულწრფელი ფიქრი ქვეყანაზე, საერთო მომავალზე და არა სკამებზე. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საზოგადოების დიდი ნაწილი გაითვალისწინებს (და არა უკრიტიკოდ მიიღებს) შემდეგ მოსაზრებებს და იგივესკენ მოუწოდებს პოლიტიკოსებს:

1. უშეცდომო არავინაა, მით უმეტეს თუ კორუფციული, უბიუჯეტო, უჯარო და უპოლიციო ქვეყანა თანამედროვე სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნა მანამ, სანამ მეზობელი აგრესორი ძალას მოიკრებს და წარსულში დაგაბრუნებს;

2. არის რამოდენიმე კრიმინალური საქმე, რომელიც ბევრ ადამიანში აღძრავს ეჭვს და ჩრდილს აყენებს გამოძიებისა თუ სასამართლო განაჩენის ობიექტურობას. მაგრამ ასეთი შემთხვევებისაგან არც ერთი დემოკრატიული ქვეყანაა დაზღვეული. მიტინგი ვერ იქნება სასამართლოს ალტერნატივა, თუნდაც მისი ზოგიერთი გადანყვებილება თუ წარმომადგენელი არ მოგწონდეს. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2006 წლიდან სასამართლოს დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად უპრეცედენტო სისტემური ნაბიჯები იდგმება, პოლიცია კი, როგორც ვთქვი, პირველად დადგა მასშტაბურად თავისი ძირეული მოვალეობის - საზოგადოებრივი წესრიგის სამსახურში. მე, პირადად, ეს მერაბიშვილის დამსახურებაც მგონია.

3. რუსეთის ხელისუფლებამ ღიად გამოაცხადა საქართველოში რეჟიმის შეცვლის და კავკასიაში საუკუნეობრივი ბატონობის შენარჩუნების ინტერესი. შესაბამისად, ცხადია, რომ მარტო ცხინვალის და სოხუმის არაა კრემლის მიზანი. ხელისუფლების ქმედებამ კი შესაძლებელი გახადა საქართველოს რუსეთის სატელიტად არ გადაქცევა, თუმცა ცხინვალთან სამხედრო მარტოს ფასად. ამ დროს საკუთარ მთავარსარდალზე ქილიკი და მისი შეცვლის მოთხოვნა დაუსაბუთებელი და უსამართლოა.

4. მეც არ ვარ აღფრთოვანებული საზოგადოებრივი მაუწყებლით - თუ საერთოდ, მდგომარეობით ქართულ მედიამში. ჟურნალისტურ სტანდარტებზე თავად ჟურნალისტებმა და საზოგადოებამ უნდა იზრუნოს. საზოგადოებრივი მაუწყებელი - არ უნდა იყოს ორიენტირებული მარტო საშუალო მაყურებელსა და გართობაზე. "ბარიერის" მაგვარი გადაცემები, ოღონდ უკეთ მომზადებული და უფრო მრავალფეროვანი, სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფილი უნდა იყოს. მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, ვირტუალური რეველუციური სიტუაციების შექმნა საშიშია ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის და მედია არ უნდა იყოს ამ პოსტმოდერნული საფრთხის მსახიობი.

თუ ეს ყოველივე მეტნაკლებად გასაზიარებელია არა ცალკეული ლიდერებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის, დიალოგიც შედგება და საშინაო კრიზისებსაც თავს ავარიდებთ. ნაგებობა კი ის ნააგებს, ვინც გააგრძელებს ირონიულ ლიდინს "დიალოგიო, დიალოგიო" და ამ მოწოდებას ემპიკისეულ ცდუნებასთან გააიგივებს. თუმცა ნებისმიერ ადამიანს აქვს შეცდომის აღიარებისა და საქმის თავიდან დაწყების უფლება.

ამერიკა 1787 - საქართველო 2009

დევიდ ჯ. სმიტი
სპეციალურად "24 საათისთვის"

9 აპრილის შემდეგ ქართველები თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. ორი კვირის განმავლობაში მათი რაოდენობა შემცირდა, მაგრამ მათ ნაწილს დღემდე ჩაკეტილი აქვს ქალაქის მთავარი მაგისტრალი, ნაწილი პრეზიდენტის რეზიდენციასთან კარვებში ათევეს ღამეს, ხოლო ნაწილიც პარლამენტის შენობის წინ ტერიტორიას არ ტოვებს. თუმცა, რიგითი ქართველები, თანაც ყველა სახის პოლიტიკური მიმართულების მომხრეები, ერთ კითხვას სვამენ: განა ეს ნორმალურია დემოკრატიისთვის?

ამ კითხვას ზოგიერთმა პატივმოყვარე უცხოელმა მრჩეველმა შეიძლება უარი უპასუხოს, მაგრამ ჭეშმარიტი პასუხია - დიახ, დემონსტრაციები და პროტესტი ნორმალური მოვლენაა ბევრ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ექსტრასისტემური მანიფესტაციებისგან თავისუფალი მხოლოდ რეპრესირებული ან მეტისმეტად დუნე საზოგადოებები არიან. არარეალურია, რომ ნებისმიერი მთავრობის სისტემისგან, როგორც დემოკრატიული ან რამდენად დემოკრატიულიც არ უნდა იყოს, ელკოდ ვითარების მართვას და ყველა მოლოდინის რბილად და ზომიერად რეგულირებას. ახლაც პოლიტიკაში ქუჩებში გადაინაცვლა.

დემონსტრაციებით უშეცდომოდ გამოიხატება კონკრეტული საზოგადოებრივი ფასი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. თუმცა, მათ ასევე უშეცდომოდ უნდა შეუწყონ ხელი საზოგადოების მეტ დინამიზმსა და ზრდას. თქვენ ვერ უყურებთ ტელევიზორს მრავალი საღამო განმავლობაში, რათა დაინახოთ მსგავსება დასავლურ დემოკრატიებში მიმდინარე მოვლენებთან.

2009 წლის 9 აპრილის შესახებ იმის თქმა შეიძლება, რომ არაფერი ძალადობის ან ვანდალიზმის მსგავსი არ მომხდარა. ცხადია, იყო რამდენიმე ინციდენტი, მაგრამ წარმოუდგენელია ასეთ ვითარებაში სხვაგვარად ყოფილიყო. რამდენიმე ადამიანმა პოლიტიკური ქულების ჩაწერაც სცადა გახშირებული ინციდენტების ფაბრიკაციით, რაც ასევე წარმოუდგენელია, რომ ასეთ მდგომარეობაში არ მომხდარიყო.

ზოგადედ ქართველებმა - ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც - უნდა იამაყონ. საქართველოს წარმატების ერთი საზომი ისიცაა, რომ დასავლელმა რეპორტიორებმა, რომლებიც თბილისში 9 აპრილის მოვლენების გასაშუქებლად იმყოფებოდნენ, უკვე დატოვეს საქართველო. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თქვენ ვერ უყურებთ ტელევიზორს ყოველ საღამოს იმისთვის, რომ უფრო უარესი კადრები იხილოთ ზოგიერთ დასავლურ დემოკრატიულ ქვეყანაში.

დემოკრატიული საზოგადოების გამოცდა ის კი არ არის, რომ სრულყოფილ ჰარმონიას მიიღწიოს, არამედ ის ფაქტი, რომ საზოგადოება ინარჩუნებს ცივილურობას და შეუძლია, ექსტრასისტემური ქმედებებისა გაიზარდოს და განაგრძოს წინსვლა. საქართველომ პირველი გამოცდა უპირობოდ კარგად ჩააბარა, ახლა უკვე, გულახდილად რომ ითქვას, უფრო რთული გამოცდის დრო დგება.

ასეთი მომენტის წინაშე ნებისმიერი დემოკრატია დგება. ძნელია შეერთებული შტატების წარმოდგენა გაურკვეველი მომავლის მქონე პატარა ქვეყნად, მაგრამ 1780-იან წლებში იგი სწორედ ასეთი იყო. შეერთებული შტატებმა მოიგო დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის ომი, მაგრამ შტატებშია 31 საკმაოდ დასუსტებული და ერთმანეთთან შეუსაბამო კონსტიტუციით იყო დაკავშირებული. ეკონომიკაც საკმაოდ სუსტი ჰქონდა, აქტიურად საქმიანობდნენ ბრიტანელი აგენტები და ქვეყანაში სამოქალაქო არეულობა სუფევდა.

ფილადელფიაში 1787 წელს კონსტიტუციური კონვენტი შეიკრიბა ახალ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებაზე მსჯელობისთვის. 15 კვირის შემდეგ ამან შედეგად გამოიღო ის, რაც ახლა შეერთებული შტატების კონსტიტუციის სახელითაა ცნობილი. 17 სექტემბერს, ბოლო შეხვედრაზე, ბენჯამინ ფრანკლინს ხანმოკლე კლავიატორი მიუახლოვდა და ჰკითხა: "ბატონო, რა მივიღეთ - რესპუბლიკა თუ მონარქია?" "რესპუბლიკა, თუკი თქვენ მოუფრთხილებით მას!" - მიუგო ფრანკლინმა.

ფრანკლინის გამოწვევა მუდმივი იყო ნებისმიერი დემოკრატიისთვის ნებისმიერ დროს. შეგიძლიათ თქვენი დემოკრატიის შენარჩუნება? შეგიძლიათ სწორი ბალანსის მოძებნა? როდის უნდა გაიმართოს დემონსტრაცია? როდის უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები?

1787 წელს ამერიკამ ბევრ განსაცდელს გაუძლო - ომს, ეკონომიკურ ვარდნას, სამოქალაქო არეულობას. ახალ კონსტიტუციას ყველა არ ეთანხმებოდა - ეს იყო გადამწყვეტი მომენტი, რაც შემდეგ დემოკრატიის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად გადაიქცა.

ალსანიშნავია ისიც, რომ გაზეთების ფურცლებზე გადაინაცვლა მამინდებატებმა იმის შესახებ, ნიუ-იორკის შტატს კონსტიტუციისთვის უნდა დაეჭირა მხარი თუ წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო. 1787 წლის ოქტომბრიდან 1788 წლის აგვისტომდე ალექსანდერ ჰამილტონმა, ჯეიმს მედისონმა და ჯონ ჯედი, რომელიც მუბლიუსის ფსევდონიმით წერდა, გამოაქვეყნეს 85 სტატია, რომლებშიც შეთავაზებული დოკუმენტის მომზადების მიზეზებს ხსნიდნენ. ეს გაზეთები დღემდე ისწავლება და იკითხება როგორც ფედერალისტების გაზეთები.

ოპონენტები გაზეთებში კატოსა და ბრუტუსის ფსევდონიმებით პასუხობდნენ. ყველა ასპექტი დეტალურად განიხილებოდა. როცა დებატები დასრულდა, ნიუ-იორკმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციას.

ამერიკა იზრდებოდა, მაგრამ ფრანკლინის გამოწვევა ისტორიის მანძილზე კვლავ განმეორდა. 1960-იანი წლების დემონსტრაციებმა, რაც სამოქალაქო უფლებებს ეხებოდა, დედამიწის უძლიერესი ერთი კი შეაჯანჯლარა. დღეს ამერიკა სწორედ ამ პროტესტების გამო იმყოფება უკეთეს მდგომარეობაში. არა მარტო შავკანიანმა ან თეთრკანიანმა ამერიკელებმა, არამედ ნებისმიერი ფერის პოლიტიკურმა სუბიექტებმა იპოვეს ძალა, გამოენახათ საერთო ენა დისკუსიის, ზრდისა და წინსვლის გზით.

შეერთებული შტატების პრეზიდენტად აფროამერიკელ ბარაკ ობამას არჩევა ამ პროტესტის, დებატებისა და ოთხი პირველწილის წინ მიღწეული შეთანხმების პირდაპირი გამოძახილია.

2009 წლამდე საქართველომ მრავალ განსაცდელს გაუძლო: განახლებულ დამოუკიდებლობას, სამოქალაქო ომს, ეკონომიკურ გაჭირვებას, ომს, ოკუპაციასა და საკმაოდ მტრულ გარემოში დემოკრატიის განვითარებას. ყველაფრის მიუხედავად, საქართველომ წარმატებას მიაღწია. დღემდე უამრავი გადაუჭრელი პრობლემის ფონზე საქართველო მანაც წარმატებული ქვეყანაა.

ქართველებმა ამ პრობლემების გადაჭრისას უნდა გაითვალისწინონ ბენჯამინ ფრანკლინის საუკუნოვანი გამოწვევა - შეგიძლიათ უკვე მიღწეული წარმატების შენარჩუნება? ამის გადანყვება მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ.

თქვენს მეგობრებს შეუძლიათ მხოლოდ საუკეთესო გისურვონ და შემოგთავაზონ საკუთარი გამოცდილებიდან ბევრი რამის გათვალისწინება, რასაც თქვენ სასარგებლოდ მიიჩნევთ. ქართველებმა უნდა გადანყვიტონ, ამერიკის ისტორიაში 1787 წლიდან მოყოლებული რომელი მაგალითია დღეს მათთვის სასარგებლო ან მათ დაეხმაროს გაზეთის ფურცლებზე გადმოტანილი ჩემი საკუთარი გამოცდილება, რომელიც გამყარებულია ლოგიკური, ფაქტობრივი და კონსტიტუციული არგუმენტაციით.

დევიდ ჯ. სმიტი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრი (თბილისი) და პოლიტიკური კვლევების პოტომაკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი).

უკან დახევა წარმოუდგენელია

პირველი გვერდიდან

ბევრს ეგონა, რომ ჩვენი ერთსულოვნება, ჩვენი ერთად დგომა ერთ კვირაზე მეტ ხანს შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა დღეს კიდევ ერთხელ გავაკეთეთ იმის დემონსტრირება, რომ ჩვენ ერთადერთი მიზანი გვაქვს: საქართველო იყოს უფრო ბედნიერი, დემოკრატიული და ამ ქვეყნის ხელისუფლება საკუთარ ხალხს ემსახურებოდეს, - განაცხადა ირაკლი ალასანიამ. ალასანია მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი არა თუ ჩაქრა, არამედ ის რეგიონებსაც გადაეცემა. მალე ყველანი ერთად, ერთ მუშტად შეკრულები ვიზეიმებთ იმ წარმატებას, რომელსაც ყველა, მთელი საქართველო და მთელი მსოფლიო ელოდება, - დასძინა ალასანიამ საქართველოსთვის ლიდერმა. მან ხელისუფლების ქმედებებზეც ისაუბრა. საზოგადოების მშვიდობიან პროტესტს ხელისუფლებამ დამლაშობით ჩასაფრებითა და ტერორით უპასუხა, თუმცა საზოგადოების პასუხი მშვიდობიანი იყო, - აღნიშნა ალასანიამ. მან მიმართა ყველა იმ ადამიანს, ვინც აქტივისტებს ფიზიკურად გაუსწორდა. ეს არაკაცური საქციელია. მათ არჩევანი გააკეთეს ზოროტის სასარგებლოდ. ხოლო, იმ ათასობით პატიოსანმა ადამიანმა, ვისაც ჯერ არჩევანი არ გაუკეთებია, ჯობია დროზე აირჩიოს და ჩვენი გვერდით დადგეს, რადგან საქართველო მხოლოდ ჩვენთვის არ გვინდა, - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ. მომიტინგეებს დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემაც მიმართა. როგორ ბედავს ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი, როცა ეუბნება ხალხს, რომ თურმე მერაბიშვილმა და სააკაშვილმა უნდა გასწავლოთ, თუ რა ფასეულობებით იცხოვროთ. დარწმუნებული ვარ, ამას არც ერთი თქვენგანი არ მოითმენს და ამას ქართველი ხალხი აუცილებლად მოუღებს ბოლოს, - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. მისი თქმით, მომიტინგეებმა ახალი მოძრაობა დაიწყეს და მნიშვნელოვანია, რომ ამის შე-



AFP - 2008

სახებ მთელმა საქართველომ გაიგოს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ საქართველოს ტელევიზია მთლიანად ხელისუფლების ხელშია, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ხედავს მხოლოდ და მხოლოდ დღის 9:00 საათზე დაცარიელებულ რუსთაველს, - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. აღდგომის დღესასწაულის გამო შენელებული იყო პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური კამპანია. გუშინ საპროტესტო აქციების მოსალოდნელი გაფართოების ფონზე, პროტესტის მე-13 დღეს ქუჩის აქციაში ჩაერთო გია გაჩეჩილაძე. მუცნობმა რამდენიმე საათით დატოვა ტელეკომპანია მესტროსი საქანი №5 და მომიტინგეებს შეუერთდა. ჩემი შემდეგი გამოსვლა დამთავრდება სააკაშვილის დაპატიმრებით და ამ ადამიანის კაბინეტიდან ყურით გამოთრევი. მანამდე, სააკაშვილს დავუდგამთ ისეთ გეტოებს, როგორც მან აკადრა დევნილებს

არამედ ზუსტად ისე, როგორც მათ გული და განწყობა უკარნახებს. თავისუფლების მოედანზე და რუსთაველის გამზირზე საკუნების დადგმას უშუალოდ ხელმძღვანელებდა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე. მან საკუთარი ძმის შესახებ განაცხადა, რომ გიას გარეშე აქციების ორგანიზატორებს საკნეების ქალაქის იდეის განხორციელების არანაირი უფლება არ ჰქონდათ. პოლიტიკური ოპოზიციის პროტესტის გაგრძელებას რეგონიდან ჩამოყვანილი მომხრეების დახმარებით აპირებს. დღეს ეროვნული ფორუმის ლიდერები კახეთიდან დაძრულ კოლონას უხელმძღვანელებენ, ხოლო სამეგრელოში ხალხის მობილიზებას კოკო გამსახურდია მეთაურობს. ოპოზიციის ლიდერები საქართველოს სხვა რეგიონებშიც აპირებენ ჩასვლას.

კრემლის გადანყვეტილებით, აფხაზები რუსეთის ქალაქ სოჭის მერის არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას. ამის შესახებ რუსული გამოცემა "გაზეტა" იუწყება. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქის მერის არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ იმ აფხაზებს შეეძლება, რომელთაც რუსული პასპორტები აქვთ აღებული. "გაზეტას" ინფორმაციით, 24 აპრილამდე მდინარე ფსოუს მოსაზღვრე სოფელ ვესელოში აფხაზეთის მცხოვრებთათვის საარჩევნო უბნები გაიხსნება. მისივე მტკიცებით, სპეციალურად აფხაზეთისთვის საარჩევნო უბნების გახსნის გადანყვეტილება "აფხაზეთის რესპუბლიკის" მცხოვრებლების არაერთგვაროვნების შედეგად იქნა მიღებული. ხმის მიცემისთვის აფხაზებმა რუსეთთან საზღვარი უნდა გადაკვეთონ და თან უნდა იქონიონ რუსული პასპორტები.

მედიაიუსი

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა შეხვედრა გამართა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნაღბანდოვმა გამართა შეხვედრა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩ ჯონ ტეფთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის საკითხებს.

მედიაიუსი

გრიგოლ ვაშაძის შეხვედრები შედეგში

შვედეთის სამეფოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ბოლდტთან, პარლამენტის თავმჯდომარე პერ ვესტერბერგთან, საერთაშორისო განვითარების მინისტრ გუნილა კარლსონთან და ვაჭრობის მინისტრ ევა ბიორლინგთან შეხვედრები გამართა. შეხვედრების დროს მხარეებმა განიხილეს შვედეთის სამეფოსა და საქართველოს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

შვედურმა მხარემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის უპირობო მხარდაჭერა.

ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის ძირითად პრიორიტეტებზე და ამ მიმართულებებით ურთიერთობების გაღრმავების გზებზე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნად მომავალში შვედეთის ყოფნის პერიოდში. მხარეებმა განიხილეს შვედეთის მხარდაჭერის, დახმარებისა და გამოცდილების განხილვის შესაძლებლობები ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორცაა საქართველოსა და ევროკავშირის შორის გამართული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება და განხორციელება; ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების დაწყება; ასოცირების შესახებ ხელშეკრულების დადების პერსპექტივები და "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში თანამშრომლობა.

ორმხრივი ურთიერთობების კუთხით ყურადღება გამახვილდა საგარეო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე. ყურადღება გამახვილდა შვედური კომპანიების გააქტიურების მნიშვნელობაზე საქართველოში ინვესტიციების ზრდის თვალსაზრისით. აღნიშნა, რომ შვედური მხარე მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას კონკრეტული პროგრამების განხორციელების გზით.

შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში დღეისთვის არსებული ვითარება და აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაზე საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში. შეხვედრის შემდგომ გაიმართა მინისტრების ერთობლივი პრესკონფერენცია. ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა გრიგოლ ვაშაძის ლექცია უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტში. ლექცია მიეძღვნა რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს საგარეო პოლიტიკის გამოწვევებისა და პრიორიტეტების განხილვას. ლექციას, ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად, ესწრებოდნენ შვედეთის აკადემიური წრეებისა და სტოკჰოლმში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრები დანიამი გააგრძელა.

მედიაიუსი

ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლები ბათავისუფლეს

ოსმა სეპარატისტებმა გუშინ დილით "საზღვრის გადაკვეთის" ბრალდებით ეუთო-ს დამკვირვებლები დააკავეს. ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ეუთოს ორი დამკვირვებლის დაკავება უარყო და განაცხადა, რომ ისინი დაუყოვნებლივ გაუშვეს დაკავების შემთხვევის შემდეგ. ეუთო-ს ორმა წარმომადგენელმა სამშაბათს, დილის 10:20 საათზე გადმოკვეთა საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარი. საზღვრის გადაკვეთისას ისინი არცევის მილიციის განყოფილების თანამშრომლებმა გააჩერეს. გასაუბრების შემდეგ კი, ეუთო-ს თანამშრომლები გა-

უშვეს, - იუწყება "რია ნოვოსტი" სეპარატისტულ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელზე დაყრდნობით. ცხინვალის სამხედრო კომენდატორის მტკიცებით კი, გუშინ დილით საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დაკავებული ეუთო-ს დამკვირვებლები ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. მომხდარში გარკვევის შემდეგ ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლები საქართველოს ტერიტორიაზე გადაიყვანეს, - აცხადებენ კომენდატურაში. როგორც ეუთო-ს მისიამ საქართველოში განაცხადა, დღის მეორე ნახევრისთვის ეუთო-ს ორი დამკვირვებლის

დაკავების გამო შექმნილი სიტუაცია მოგვარდა და უნგრელი და თურქი დამკვირვებლები უკვე საკუთარ ბაზაზე იმყოფებიან. მისია ვითარებაზე დაკვირვებას განაგრძობს. ჩვენ ეს საკითხი შესაბამის მხარეებთან განვიხილეთ და ამჟამად სიტუაცია მოგვარებულია. ჩვენ განვავრცობთ მომხდარის დეტალურად განხილვას, - აღნიშნა ეუთო-ს მისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარტა ფრიმენმა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოსი სეპარატისტების მიერ ეუთო-ს დამკვირვებლების დაკავების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა.

კონფერენციაზე საგარეო უწყების პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა განაცხადა, აღნიშნულის შესახებ ვრცელი კომენტარი მას შემდეგ გაკეთდება, რაც სამინისტრო დაზუსტებულ ინფორმაციას მიიღებს. თუ ფაქტი დადასტურდება, ძალიან დასანანი იქნება, რადგან ეს სეპარატისტული რეგიონის ტერიტორიაზე საერთაშორისო დამკვირვებლების გატაცების და დაკავების პირველი შემთხვევა არ არის, - განაცხადა კაჭკაჭიშვილმა.

საკუთარი ინფორმაცია

როგორც გუშინდელ პრეს-

ქალაქობის გარეშე დაბრუნებული ინციდენტი

ხათუნა ზივარია

ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებაში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ბუნტთან დაკავშირებით, გამოიძევა მიმდინარეობს. ბუნტის შედეგად ქალთა კოლონიიდან რუსთავის N1 საპრობოლიტო გადაყვანილი ქალი პატიმრები გუშინ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრ შამკინმა ინახულეს. იმ დროს, როდესაც მსჯავრდებულებს წითელი ჯვრისა და ევროკომისიის წარმომადგენლები საკნებში სტუმრობდნენ, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "საზოგადოებრივი დამცველის" წევრები პრესკონფერენციას მართავდნენ და კოლონიაში განვითარებული მოვლენების მიზეზებზე საუბრობდნენ.

"საზოგადოებრივი დამცველი" ხელისუფლებას მოუწოდებს, ებრძოდეს ქალთა და არასრულწლოვანთა კოლონიაში მომხდარი ბუნტის მიზეზებს და არა - შედეგებს. "საზოგადოებრივი დამცველი" 18 აპრილს

ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განვითარებულ მოვლენებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და ქალთა ციხის ბუნტთან დაკავშირებით ევროსასამართლოსთვის მიმართვას გეგმავს.

"პატიმარი ქალების საპროტესტო აქცია, რომელიც დაუმორჩილებლობაში გადაიზარდა, იმ არაადამიანურმა, სასტიკმა და უსამართლო პოლიტიკამ განაპირობა, რაც სამართალდამცველ, მართლმსაჯულების და პენიტენციურ სისტემებში არსებობს. ყოველი შეწყალების შემდეგ, იმ პატიმრებს, რომლებსაც შეწყალება ან ვადამდე აღწერა გათავისუფლება ეხებათ, ატყუებენ, რომ შემდეგი შეწყალების დროს მათი გვარები გასათვისუფლებელთა სიაში აუცილებლად მოხვდება," - აცხადებენ "საზოგადოებრივი დამცველის" წევრები.

ორგანიზაციის წევრების განმარტებით, ამბოხებული პატიმრები ითხოვდნენ უფლებადამცველებთან შეხვედრას, რის ნაცვლადაც, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა დიმიტრ შამკინმა იქ პატიმრების, სოდის და კუდის შენაერთები შეიყვანა.

ეს კანონის უხეში დარღვევაა, რადგან სასჯელაღსრულების სა-

მინისტროს ასეთი შემთხვევებისათვის თავისი ძალგანი სტრუქტურები გააჩნია. ვიდრე არ აღმოჩნდება ის მიზეზები, რომლებმაც მსჯავრდებული ქალები ამბოხებამდე მიიყვანა, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ასეთი უკიდურესი ფორმებით პროტესტის გამოხატვის საფრთხეები ყოველთვის იარსებებს. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ყურადღება მიაქციოს სასტიკი და არაადამიანური კანონების ლიბერალიზაციას," - განაცხადა ორგანიზაციის წევრმა ზაზა ხატიაშვილმა.

საზოგადოებრივი დამცველის წევრების თქმით, მსჯავრდებული ქალები ცემითა და უხეში ფორმების გამოყენებით გადაიყვანეს რუსთავის დაწესებულებაში.

"დღეს ვიყავი რუსთავის N1 დაწესებულებაში და შევხვდი სამ პატიმარ ქალს. ისინი აუტანელ პირობებში იმყოფებიან: არ აქვთ წყალი, ჰიგიენის ელემენტარული საშუალებები და ტანსაცმელი და არც იმის საშუალებას აძლევენ, რომ ტანსაცმელი გარედან მიიღონ. ამასთან, პატიმრები აცხადებენ, რომ ბუნტი დაწესებულების ადმინისტრაციიდან იყო პროვოცირებული," - განაცხადა "საზოგადოებრივი დამცველის" წევრმა ლა-

ლი აფციაურმა. მისივე განმარტებით, ქალთა კოლონიაში თავდაპირველად შუშების მტკრევა სამმა პატიმარმა დაიწყო, რომლებიც შეწყალებულთა სიაში ვერ მოხვდნენ, თუმცა აღნიშნული ქმედება, ადვოკატის განმარტებით, ციხის ადმინისტრაციამ თავიდან არ ალკვეთა, რის შემდეგაც არეულობამ მთელი დაწესებულება მოიცვა.

"პატიმარი ქალების რუსთავის დაწესებულებაში გადაყვანის პროცესი არც ისე უმტიკინეულო იყო, როგორც ამას მინისტრი შამკინი აცხადებს. დაწესებულების უკანა კედელი გამოანგრეეს და პატიმრები იქიდან გაიყვანეს, რა დროსაც ბევრმა მათგანმა ფიზიკური დაზიანება მიიღო," - აცხადებს ლალი აფციაური.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მართლაც უნიკალური სპეცოპერაცია. ისე დაიხურა ერთი ციხე მთლიანად და ისე მოხდა მსჯავრდებულების გადაყვანა მეორე ციხეში, რომ ერთ პატიმარსაც კი არ ჩამოვარდნია თმის ღერი. არც ერთი პატიმარი ქალისთვის თითი არავის დაუღია. არანაირი კედლის გამოხრევა არ მომხდარა. კედელი გაიხსნა იმისთვის, რომ პანიკა არ ყოფილიყო და ისე მომხდარიყო პატიმართა გადაყვა-

ნა. მთელი სპეცოპერაცია სახალხო დამცველის თანდასწრებით ჩატარდა, - განაცხადა 124 საათთან საუბრისას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სალომე მახარაძემ.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების NORLAG, PRI, ნითელი ჯვრისა და ევროკომისიის წარმომადგენლების განცხადებით, პატიმრებს ქალაქობის კვალი არ აღენიშნებოდა და ის ფაქტი, რომ ბუნტის დროს სამინისტრომ ამდენი პატიმრის შეუფერხებლად და უმტკივნეულოდ გადაყვანა მოახერხა, დიდი მიღწევაა.

"ჩვენ მოვიწვიეთ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რათა მათ საკუთარი თვალთ ენახათ პატიმრების მდგომარეობა და დარწმუნებულიყვნენ, რომ არანაირ ძალადობას პატიმარი ქალების მიმართ ადგილი არ ჰქონია," - განაცხადა სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრ შამკინმა.

ფსპ -ს ინფორმაცია

რუსული საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა ქართველი მზვერავის საქმიანობა გამოავლინეს.

"რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ქართველი მზვერავის მამუკა მაისურაძის ქმედებები გამოავლინა, რომელიც დაზვერვითი და საეჭვო საქმიანობის მიზნით, რუსეთის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებოდა. მამუკა მაისურაძე საქართველოს დაზვერვის სპეცსამსახურის თანამშრომელია, რომელიც საკუთარი ხელმძღვანელობის დავალებით, 2007 წლის სექტემბერში სოჭში უკრაინის მოქალაქის სახელით ჩავიდა, თითქოსდა, სამეწარმეო საქმიანობის მიზნით. ოპერატიული ინფორმაციით, უკრაინის მოქალაქეობის დამადასტურებელი და სხვა

შესაბამისი დოკუმენტები მაისურაძემ ქართული სპეცსამსახურების აქტიური მოქმედებით მოკლე ვადაში მიიღო. დოკუმენტები უკრაინული კანონმდებლობით დამზადდა და მზვერავს ლეგალიზაციისთვის გადაეცა," - აცხადებენ რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურში.

ამავე ინფორმაციით, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი მამუკა მაისურაძე კურატორთან ინტერნეტ-კავშირით ურთიერთობდა, სოჭის ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაციას აგროვებდა და სხვა სახის ძირგამომხრულ საქმიანობას ახორციელებდა."

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებ-

ბით, ქართულ მხარეს ოფიციალური კომენტარი ჯერჯერობით არ გაუქმებია.

როგორც სააგენტო მედიაინიუსს ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, მამუკა მაისურაძის დაკავება რუსული სპეცსამსახურების მორიგი პროვოკაციაა.

ბოლო პერიოდში, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური ავინოობს რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებს და მათ ხან შპიონაჟში და ხან ტერორიზმში ადანაშაულებს. საქმე ზოგჯერ ანეკდოტამდეც მიდის. მაგალითად, ფსპ-ს თანამშრომლებმა აპრილის დასაწყისში სოჭში დააკავეს ვითომ ბიზნესმენი ლევან ახოზაძე და მის წინააღმდეგ საქმეც შეკერეს, რომლის მიხედვითაც, ის თურმე ქართულ სპეცსამსახურებზე მუშაობდა. აღმოჩნდა, რომ ახო-

ზაძე თავად იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის მაღალჩინოსანი და ბიზნესმენობის ლეგებთან საქართველოს ბიზნეს-წრეებთან ურთიერთობის დასამყარებლად და ინვესტორის საფარქვეშ, საქართველოში შემოსაღწევად სჭირდებოდა. "ფსპ"-მ "ესევერის" მაღალჩინოსანის დაკავებით, ზემოხსენებული ოპერაცია ჩაშალა და ამ სპეცსამსახურის ბევრმა თანამშრომელმა სამსახური დაკარგა," - განუცხადა "მედიაინიუსს" ინფორმირებულმა წყარომ.

ამავე წყაროს განმარტებით, სოჭში ქართველი ვითომ შპიონების დევნის მიზანი ადვილი ასახსნელია. კერძოდ, შესაძლოა, სოჭში მოხდეს ტერაქტის იმიტაცია და შემდეგ ეს ქართულ სპეცსამსახურებს გადააბრალონ. რუსეთის ხელისუფლებისგან, რომელმაც 1999 წელს ჩეჩ-

ნეთში მეორე ომის დასაწყებად მოსკოვში თავად ააფეთქა საცხოვრებელი კორპუსები, ყველაფერი მოსალოდნელია. 2008 წლის აგვისტოში დააკავეს ვლადიკავკაზის ერთ-ერთი ინტერნეტ-კავის ქართველი მფლობელი და მასაც შპიონაჟის ბრალდება წაუყენეს. როგორც ჩანს, გარდაქმნილ საბჭოთა "კგბ"-ს ძველ მაღალჩინოსნებს ინტერნეტი ეშმაკის მანქანა ჰგონიათ, - აცხადებს სააგენტო მედიაინიუსის რესპონდენტი.

მისივე თქმით, აბსურდია "ფსპ"-ს მხრიდან იმის მტკიცება, თითქოს სოჭის ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოებით ქართული სპეცსამსახურები არიან დაინტერესებული.

საკუთარი ინფორმაცია

ფოტოში "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ოფისი გაიხსნა

"საქართველოს ბანკმა" ქ. ფოთში, აღმაშენებლის ქ. 30-ში, გუშინ ფოთის ცენტრალური ოფისის პრეზენტაცია მოაწყო.

ფოთის ახალი ცენტრალური ოფისი "საქართველოს ბანკის" ერთ-ერთი სერვის ცენტრის ადგილას განთავსდა. სუკვე არსებულ შენობაზე დაშენდა მეორე სართული და შენობის ფასადი მთლიანად გარემონტდა. განახლებული სერვის ცენტრი მოწყობილია ბანკის უახლესი სტანდარტების თანახმად და აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. შენობის რემონტსა და აღჭურვაზე 1,1 მილიონი ლარი დაიხარჯა და 50 ადამიანი დასაქმდა.

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის ირაკლი გიალურის განცხადებით, "საქართველოს ბანკის" ბიზნესი ფოთში ძალზედ მძლავრად არის წარმოდგენილი. ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა ოპტიმიზმის



საფუძველს იძლევა, რომ ბანკის მომხმარებლის რაოდენობა გაიზარდეს. ფოთის ახალი ცენტრალური სერვის ცენტრი, უმაღლესი სტანდარტებით არის აღჭურვილი, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს მომხმარებელს სრული და კომფორტული მომსახურება მიიღოს".

ფოთის მერის ვანო სალინაძის თქმით, "ფოთში "საქართველოს ბანკის" ოფისის შენობა შესანიშნავად მოწყობილი და გარემონტებულია. რაც მთავარია, დასაქმებულია ადამიანების საკმაო რაოდენობა. ვფიქრობ, "საქართველოს ბანკის" ფუნქციონირება პირველ რიგში ქალაქის ეკონომიკას და მის წინსვლას ნაადგვება."

აღსანიშნავია, რომ "საქართველოს ბანკს" სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შვიდი სერვის ცენტრი აქვს, მათ შორის ზუგდიდი და სენაკში. ფოთში კი "საქართველოს ბანკი" უკვე ოთხი სერვის ცენტრითაა წარმოდგენილი.

მოლდოვაში ხმა "გადათვალა"

კომუნისტებს ისევ 60 მანდატი აქვთ

ივანე პილაკაძე

მოლდოვაში საარჩევნო კომისიამ დაამთავრა ხმების ხელახალი გადათვლა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებით განახორციელდა (საარჩევნო კომისიას ასეთი თხოვნით თვითონ პრეზიდენტმა ვორონინმა მიმართა). როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგი არ შეცვლილა და კომუნისტები ისევ იკვებენ არჩევნებს. მათ 60 მანდატი აქვთ 101-დან და შეუძლიათ მთავრობის ფორმირება, ხოლო პრეზიდენტის ასარჩევად ერთი ხმა აკლდება.

ოპოზიციას, ცხადია, არ სჯერა ამ შედეგის. ისინი აცხადებენ, რომ სხვას არც არაფერს ელოდნენ ამ პირობებში. ხმების ასეთი უბრალო გადათვლით ვერაფერს დაადგენს დარღვევას, თუ სა-

ფუძვლიანად არ შემოწმდება საარჩევნო სიები და ამ სიებში "მკვდარი სულების" რაოდენობა. ცხადია, უნდა შემოწმდეს ისიც თუ რამდენს აქვს ხელი მოწერილი საარჩევნო სიებში ამ "მკვდარი სულებიდან". მართალია იმ პატარა ნაწილის შემოწმების შედეგად, რაც ოპოზიციამ მოახერხა, დადასტურდა დაახლოებით 10-15 პროცენტის გაყალბება, რაც სურათს კარდინალურად შეცვლის.

ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ კომუნისტებს ხმები ოპოზიციის დასარწმუნებლად არ გადაუთვლიათ. მათ ეს უცხოელების თვალში დემოკრატიული ხელისუფლების იმიჯის აღსადგენად გააკეთეს და ახლა შეუძლიათ წყნარად მიხედონ პარლამენტს. ოპოზიციას რჩება ერთი, მიზერული შანსი სიტუაციის თავის სასარგებლოდ შემოსატრიალებლად. თუ პარლამენტი სამ ცდაზე ვერ აირჩევს პრეზიდენტს, ახალი არჩევნები ინიშნება. არჩევნებამდე პარლამენტში

გასული სამივე ოპოზიციური პარტია (ლიბერალური - მიხაი გიმპუ, ლიბერალურ დემოკრატიული - ვლად ფილატი და ალიანსი "ჩვენი მოლდოვა" - სერაფიმ ურეკიანი) აცხადებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარებოდნენ კომუნისტებს პრეზიდენტის არჩევაში. წინა არჩევნების შემდეგ ვორონინის მხარეზე ერთბაშად ორი მცირერიცხოვანი პარტია გადავიდა: მემარჯვენე (?) ქრისტიანულ-დემოკრატიული სახალხო პარტია (ლიდრი - იური რომკა) და დემოკრატიული პარტია (დემიტრი დიაკოვი). თუ ამჯერად ოპოზიციონერები პრინციპულად გამორჩენენ, ხელახლა არჩევნებს მიაღწევენ, თუმცა ისიც საკითხავია, ის არჩევნები რა პირობებში ჩატარდება. უფრო სავარაუდოა, რომ კომუნისტები ვინმეს გადაიბრებენ. პოსტსაბჭოთა სივრცეში ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რომ არც ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი არ გატყდება - ანუ

არ დახარბდება არც ფულს და თანამდებობას ან არ დაექვემდებარება შანტაჟსა და მუქარას. სულაც არ არის საჭირო, რომ ეს პარტიის ლიდერი იყოს. არჩევნების წინ იყო მოწოდება "დაუშალე ბეზის პასპორტი". იგულისხმებოდა, რომ კომუნისტები ხანშიშესულ ხალხის საშუალებით ინარჩუნებდნენ ხელისუფლებას. ახლა კომინიოვში ხუმრობენ, რომ ოპოზიციას მოწოდების შეცვლა მოუწევს "დაუშალე მამას მანდატი", რათა არავინ არ გადავიდეს ვორონინის მხარეზე.

დღეს ძალიან ძნელია რაიმეს განჭვრეტა, მაგრამ რეალურად ხელისუფლება არ იქცევა ისე (ყოველ შემთხვევაში აქამდე არ იქცეოდა), რომ მისი შეთავაზებული "დალოვა" ვინმემ სერიოზულად აღიქვას. ამისთვის თუნდ მმართველი პარტიის გახუთ "კომუნისტში" ჩახედვაც საკმარისია, ის "კუდიანებზე ნადირობის" იდეოლოგიურ საფუძველს

ქმნის და ოპოზიციას პირდაპირ უშვერი სიტყვებით ლანძღავს. ლაპარაკია სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლების იდეოლოგიურ გაკონტროლებაზე. არეულობების შემდეგ დაკავებულებს კი ნამდებით აიძულებენ ოპოზიციურ პარტიებთან კავშირის "აღიარებას". რალა შორს წავიდეთ, პრეზიდენტი ვორონინი არჩევნების წინა პერიოდში კომინიოვის მერს, ლიბერალური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს დორინ კირტოაკეს (მიხაი გიმპუს დისშვილი) "დებოლს" უწოდებდა.

ძალიან ძნელია გაყალბების დამტკიცება, მითუმეტეს იმ მხრივ ბერკეტების პირობებში, რაც ოპოზიციას ხელთ არის. თუმცა უკან დასახევი გზა თითქოს არცერთ მხარეს არ აქვს. ოპოზიციამ უნდა მოახერხოს და ანტიმოლდოვური ძალის იარაღი თავიდან უნდა აიცილოს, კომუნისტებს კი თუ 2-3 პროცენტის გაყალბებაც დაუშვიათ, მათი საქმე ნასუღია.

მათოდები წარმატებული იყო

მარიკა იაშვილი

აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი მხარს უჭერს დაკითხვის უკიდურეს მეთოდებს, რომლებსაც ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს თანამშრომლები ტერორიზმში ექვემდებარებულთა წინააღმდეგ იყენებენ.

ბუშის ადმინისტრაციის მიერ სანქცირებული მეთოდების შესახებ მონაცემები ოფიციალურად გამოქვეყნდა აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მემორანდუმში. სამართალდამცველები ამ მეთოდებს წაშლას უწოდებენ, თუმცა ჩეინი მიიჩნევს, რომ ისინი წარმატებული იყო.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულ განცხადებას სამუშაო დოკუმენტების გამოქვეყნების შესახებ, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი შეცდომად მიიჩნევს, რადგან, მისი თქმით, წარმოდგენილი ინფორმაცია დაბნეულობას იწვევს: მათი აღწერა სპეცსამსახურების სისასტიკე, თუმცა არაფერია ნათქვამი იმ ტერაქტების შესახებ, რომლებიც სწორედ მათი დასახურებით აღიკვეთა.

არსებობს ცნობები, რომლებიც კონკრეტულად გვიჩვენებენ, თუ რა მივიღეთ ასეთი ქმედებების შედეგად. ისინი არ გამოუქვეყნებიათ, - განაცხადა ჩეინი, რომელსაც მიაჩნია, რომ ახლა უკვე სწორედ ამ მონაცემების გამოქვეყნების დროა.



დიკ ჩეინი

AFP - 2009

ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან იუსტიციის უწყებას დოკუმენტებში კორექტივების შეტანის თხოვნით მიმართა.

ცნობისათვის - ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს 2005 წლით დათარიღებული მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრიდან 2003 წლამდე ცენტრალური საგამოძიებო სამმართველო ტერორიზმში ექვემდებარებულთა დაკითხვისას ხშირად იყენებდა უკიდურეს მეთოდებს. კონკრეტულად კი საუბარია ტერაქტის ორგანიზატორ ჰალიდ შეის მუჰამედზე, რომელიც დაკითხვის დროს 183-ჯერ გახდა დახრწობის იმიტაციის მსხვერპლი. მის წინააღმდეგ ნაშეიქის ეს მეთოდი 2003 წლის მარტში გამოიყენეს.

2002 წელს დახრწობის მსხვერპლი გახდა მალქაიდას კიდევ ერთი აქტივისტი აბუ ზუბაიდაჰა, რომლის წინააღმდეგაც მეთოდი 83-ჯერ გამოიყენეს.

გარდა ამისა, დოკუმენტში ნათქვამია, რომ ექვემდებარებულთა წინააღმდეგ ხშირად იყენებდნენ მუქით, ხმაშლად მუსიკითა და სიმღერით ნაშეიქს.

ბუშის ადმინისტრაცია ამ მეთოდებს ნაშეიქად არ მიიჩნევდა და აცხადებდა, რომ მათი გამოყენების შემდეგ ექვემდებარებულნი მნიშვნელოვან ინფორმაციას გასცემდნენ, რაც მომავალი ტერაქტების აღკვეთას უწყობდა ხელს. თუმცა ამჟამინდელი იუსტიციის მინისტრი ერიკ ჰოლდე-

რი მიიჩნევს, რომ ძალადობრივი გზით ადამიანის წყალობა ჩაშვებას თამამად შეიძლება ნაშეიქს კვალივცავია მიენიჭოს.

აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა აქტიურად გამოდის ანტიტერორისტული ტაქტიკის შემოწმების მოთხოვნით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებიდან მესამე დღეს მან ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც ამერიკის სპეცსამსახურებს დაკითხვის დროს უკიდურესი მეთოდების გამოყენებას უკრძალებს.

ობამამ აგრეთვე გასცა განკარგულება, დაიხუროს ცენტრალური საგამოძიებო სამმართველოს კონტროლის ქვეშ არსებული ყველა საპატიმრო, რომლებიც ტერორისტებისთვის არის განკუთვნილი და რომლებიც მესამე მსოფლიოს ქვეყნებში საიდუმლოდ შეიქმნა. მომავალში ასეთი დაწესებულებების შექმნაც აკრძალა.

ამავდროულად აშშ-ს ლიდერმა განაცხადა, რომ სპეცსამსახურების თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც ტერორისტების დაკითხვის უკიდურეს მეთოდებს იყენებდნენ, საქმე არ აღიძვრება.

ფვიქრობ, მათ მიაჩნდათ, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, მაგრამ ადამიანები ამაში ხანდახან ცდებიან, - განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

კონკურსი ა/წლის 5-6 მაისს საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) ფარგლებში დაგეგმილ კონფერენციაში პოტენციურ მონაწილეთა გამოსავლენად

2007 წლიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამაში (CBC), რომელიც ხორციელდება ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტიტუტის (ENPI) ფარგლებში და მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის ხელშეწყობას ერთობლივი (რეგიონალური) პროექტების განხორციელების საშუალებით. ევროკავშირის ამ ინიციატივამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას ასევე მთლიანად შავი ზღვის რეგიონის ევროკავშირთან დაახლოებას და ახალი ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას.

ევროკავშირის საზღვრისპირა თანამშრომლობის (CBC) პროგრამაში, საქართველოს ჩათვლით მონაწილეობს 10 ქვეყანა: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი, უკრაინა და რუსეთი. პროგრამის საერთო ბიუჯეტი 2007-2013 წლების პერიოდზე 10 ქვეყნისათვის შეადგენს 17 მლნ. ევროს.

საქართველო აქტიურად მონაწილეობდა CBC პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრებში როგორც ექსპერტების ასევე წარმომადგენლობით დონეზე. შედეგად მომზადდა CBC-ის საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს თანამშრომლობის შემდეგ პრიორიტეტებს:

- თანამშრომლობის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ტურიზმის ქსელის გაფართოება, და ტურიზმის განვითარებისაკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერა);
- ვაჭრობისა და ბიზნესის ხელშეწყობა (მცირე და საშუალო სანარმოთა მხარდაჭერა);
- ადგილობრივი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;
- საზღვაო სფეროს გარემოსდაცვითი სისტემის მხარდაჭერა;
- გარემოსდაცვით სფეროში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სანარმოო წარმოების მართვის სფეროში ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და ეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა;
- შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის მხარდაჭერა;
- საგანმანათლებლო ინსტიტუტების ქსელის განვითარების მხარდაჭერა.

აღნიშნული პროგრამა ძირითადად განკუთვნილია რეგიონალური წარმომადგენლობებისათვის, არასამთავრობო სექტორისათვის, მუნიციპალიტეტებისათვის, პროფესიული ასო-

ციაციებისათვის და სხვა არაკომერციული ორგანიზაციებისათვის.

ა/წლის 5-6 მაისს ქ. ბუქარესტში შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) ფარგლებში დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ოფიციალურად გაეცხადება CBC პროგრამის განხორციელების დაწყების შესახებ და გამოცხადდება საპროექტო წინადადებების მიღება. კონფერენციის მეორე დღეს ჩატარდება სემინარი პროექტების პოტენციურ მიმღებთათვის, სადაც მიიღებს მონაწილეობას 10-ივე მონაწილე ქვეყნის პოტენციური მიმღები ორგანიზაციები (რეგიონალური ადმინისტრაციები, არასამთავრობო და სხვა.). საქართველოს მხრიდან გათვალისწინებულია 4 პოტენციური მიმღები ორგანიზაციის დაფინანსება სემინარში მონაწილეობის მისაღებად (თითო წარმომადგენელი თითო ორგანიზაციიდან).

სემინარში მონაწილეობის მიზნით პოტენციურ მიმღებთა გამოსავლენად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აცხადებს კონკურსს, რომლის საფუძველზე გამოვლინდება ის ორგანიზაციები რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას ა/წლის 5-6 მაისს დაგეგმილ კონფერენციაში და სემინარში.

გთხოვთ ა/წლის 27 აპრილამდე, დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვანოლოთ საკუთარი საპროექტი წინადადებები CBC პროგრამის პრიორიტეტების და პროექტების მომზადების წესების გათვალისწინებით. CBC პროგრამის ფარგლებში წარდგენილი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ სავალდებულოა პროექტში რამოდენიმე ქვეყნის (მათ შორის ერთი ევროკავშირის წევრი ქვეყნის: რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი) მონაწილეობა. პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 700.000 ევროს, ხოლო მინიმალური ბიუჯეტი არ უნდა უყოს 50.000 ევროზე ნაკლები. ასევე სავალდებულოა პროექტის მიმღებმა ორგანიზაციამ აიღოს ვალდებულება პროექტის საერთო ბიუჯეტის 10%-ის თანადაფინანსებასთან თაობაზე. დეტალური ინფორმაცია CBC პროექტების ტიპების, დაფინანსებისა წყაროებისა და პროექტების მომზადების პროცედურების შესახებ (Guidelines for applicants) შეგიძლიათ იხილოთ CBC პროგრამის ვებ-გვერდზე: <http://www.blacksea-cbc.net/>.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებსი სახელმწიფო მინისტრის აპარატი. საკონტაქტო ტელ: 998914, ელ-ფოსტა: dato.ncu@caucasus.net.



FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA



No limits

Absolute freedom for your business

- First free industrial zone in Caucasus
- Strategic location beside the Poti Sea Port
- No tax on profit for foreign companies
- Easy business set up



POTI FIZ

www.rakiageorgia-freezone.com

RAKIA Georgia FIZ LLC (Poti Head Office)
 47 Agmashenebeli str, 4400, Poti, Georgia
 Tel: (995 393) 25 25 4/5/6
 Fax: (995 393) 25 25 1/9

RAKIA Georgia FIZ LLC (Tbilisi Representative)
 20 Telavi str, 0103, Tbilisi, Georgia
 Tel: (995 32) 27 77 33
 Fax: (995 32) 27 73 66

E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

რევოლუ




პეკინში თანამედროვე ცეკვის მეორე საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს. ფესტივალს ადგილობრივი ქორეოგრაფიული დასები და საერთაშორისო კომპანიები აფინანსებს, რადგან ჩინეთის მთავრობამ მისთვის თანხის გამოყოფაზე უარი განაცხადა. ამრიგად ფესტივალი მთლიანად ახალგაზრდა მოცეკვავეთა და ქორეოგრაფთა ენთუზიაზმზეა დაფუძნებული. თუმცა ეს ფესტივალი უკვე მიიჩნევა ამ ქანრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად.

ციფრული კარი მსოფლიოში

wdl.org-ზე საქართველოს შესახებ ჭერჭეროვით მხოლოდ 7 სტატიაა განთავსებული

მუნიჩის კარნივალში მდებარე შტაბბინამში უნიკალური ციფრული ბიბლიოთეკის პრეზენტაციის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. wdl.org - ასეთია იმ ინტერნეტ საიტის მისამართი, რომელზე შესვლისას მომხმარებლის თვალწინ მთელი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობა ხელისგულივით იშლება. ბიბლიოთეკაში დაცული ინფორმაცია ძველი ნელთ აღრიცხვით მ ათასი წლიდან დღემდე პერიოდს მოიცავს და მსოფლიოს ყველა თანამედროვე თუ ამჟამად არარსებული ქვეყნების, ერებისა და კულტურების წარსულსა და თანამედროვეობაში გვამოგზაურებს.

ამ უნიკალურ ბიბლიოთეკაში თავისი ადგილი აქვს საქართველოსაც, რომელიც მონაცემთა ბაზაში ჯერჯერობით მხოლოდ შვიდი სტატიათა წარმოდგენილი. აქ შეგიძლიათ ამოკითხოთ და ვიზუალურად იხილოთ მასალა ზოგა-



დად კავკასიის რეგიონის, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე, სოხუმის ბოტანიკური ბაღისა და ლიკანის ფერადი ფოტომასალა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილმა მოგზაურმა და ფოტოხელოვანმა, სერგეი

პროკუდინ-გორსკიმ საქართველოში მოგზაურობისას გადაიღო. საიტზე განთავსებული ინფორმაცია ძირითადად რუსეთი მუზეუმებიდან და არქივებიდანაა მიწოდებული, ამიტომ ცხადია, ძნელია იმის თქმა, რომ მუნიჩის ციფ-

რულ ბიბლიოთეკაში სათანადო ადგილი გვიკავია. თუმცა შესაძლოა ეს მხოლოდ დროის საკითხია და ჩვენი ქვეყნის ისტორია და კულტურა აქ მალე უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი.

რაც შეეხება ზოგადად საიტს, ის მეტად ინფორმაციულია. აქ შეგიძლიათ იხილოთ არა მხოლოდ საარქივო დოკუმენტაცია და ფოტომასალა, არამედ მუსიკალური პარტიტურები, აუდიო ჩანაწერები, ფილმები, არქიტექტურული ნახაზები და სხვა. მაგალითად, აქ შეგიძლიათ მოიხილოთ უნიკალური აუდიო ჩანაწერი - ამერიკელი შავკანიანი მონის 101 წლის შვილის მოგონებები, რომელიც ბავშვობაში ნანახს იხსენებს. ასევე მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის ბრაზილიის ამსახველი უნიკალური ფოტომასალა და შუა საუკუნეების მსოფლიო რუკები.

ამ ეტაპზე WDL-ს კორტალი შვიდ ენაზეა: ინგლისურად, არა-

ბულად, ესპანურად, ჩინურად, პორტუგალიურად, ფრანგულად და რუსულად, თუმცა დაგეგმილია მასალების მსოფლიოს ათობით ენაზე განთავსება. საიტზე ძალიან ადვილია საძიებო სისტემა: დროის, ადგილმდებარეობის, თემისა და ჟანრის მიხედვით.

აღნიშნულ პროექტზე მუშაობა მუნიჩის ციფრული ბიბლიოთეკის დირექტორი ჯეიმს ბილინგტონი. პროექტის შემუშავებაში მთელი მსოფლიოს 33 უმსხვილესი ბიბლიოთეკა და არქივი მუშაობდა. საიტის სრულყოფაში ასევე ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები, ლიტერატორები, კარტოგრაფები და შესაბამისი მეცნიერების წარმომადგენლები.

ბასა ჯანიკაშვილის სკეტი



დიდოსტატის მარცხენა ინტერვიუ მეჩვიდმეტე

დღევანდელი სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია დილოგი უპირველეს ყოვლისა "პრეზიდენტი, პოლიტიკოსები ალექსანდრე მიტისკული. ბატონი ალექსანდრე წლების განმავლობაში აკვირდება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და საკუთარი რისკისა და სიცოცხლის ფასად გასულ კვირას საინტერესო ინციდენტიც წამოაყენა. ამიტომ გადავწყვიტე მასთან გასაუბრება.

ბასა ჯანიკაშვილი - ბატონო ალექსანდრე მიტისკული, თქვენი არასამთავრობო ორგანიზაცია, (შემოკლებულად ა.ს.ო.) ახალი დაარსებულია და უმალ მოექცა ყურადღების ცენტრში. ეს ალბათ, თქვენი, როგორც დიდი ექსპერტის დამსახურებაა, რადგან შეუძლებელია ასე მოკლე დროში, ამდენი მსურველი იყოს თქვენს ა.ს.ო-ში განვერიანების სურვილით შეპყრობილი.

ალექსანდრე მიტისკული - იცით, მე ჩემს არასამთავრობო ორგანიზაციაზე ვერაფერს ვეტყვი, ფაქტები ალბათ თავისას იზამენ. ჩვენ წამოვაყენეთ ინიციატივა, რომ უმალ დაიწყოს სამოქალაქო დაპირისპირება და მოუხედავად იმისა, რომ გასულ კვირას, უკვე რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი მოგვადგა კარს, ჩვენ მათ ვუხსნით, რომ ჩვენ არა ვართ პარტია, ჩვენ უბრალოდ გვინდა საქართველოში დაიწყოს სამოქალაქო დაპირისპირება...

ბ.ჯ. - უკაცრავად, მონოდებების გარეშე თუ შეიძლება! ძალიან გთხოვთ.

ა.მ. - კი მაგრამ, მე გიხსნით, რის თქმას ვაპირებთ.

ბ.ჯ. - გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, ვინ აფინანსებს ასეთ რადიკალურ ინიციატივას? რომელი საერთაშორისო ორგანიზაციაა თქვენი დონორი?

ა.მ. - ამ ეტაპზე ჩვენ თავს ვაფინანსებთ. რა თქმა უნდა, არავის აქვს სურვილი ჩვენთან იყოს ასოცირებული, მაგრამ უბრალო ხალხი, ვისაც სამოქალაქო ომი უნდა, ჩვენს მხარეზე და დამოუკიდებელი, ასეთები უმრავლესობას შეადგენენ. ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დილოგი უპირველეს ყოვლისა "ჩატარა გამოკითხვა და მოსახლეობის ოთხმოცდაათ პროცენტს ომი უნდა. ვიკვირთ ბატონო ბასა? არ მოელოდით?

ბ.ჯ. - მიკვირს კი არა, უბრალოდ არ მჯერა. მოვეშვათ ჩემს ემოციებს, მაგრამ თქვენი რბილად რომ ვთქვათ გამოკითხვამ ასეთი შედეგი თუ აჩვენა კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, მაგრამ მომიტყევეთ და მე არ მჯერა. მითხარით, ბატონო ალექსანდრე მიტისკული, რატომ ქვია თქვენს ა.ს.ო. - ს დილოგი უპირველეს ყოვლისა"? იქნებ, პირდაპირ დაგერქვათ ჩვენ გვინდა სამოქალაქო ომი?"

ა.მ. - ისეთ კითხვებს ნუ დამისვამთ, ხვალ ერთმანეთს თვალეში რომ ვერ ჩაგვხედოთ, ბატონო ბასა.

ბ.ჯ. - იცით, რომ ძალადობისაკენ მოწოდება კანონით ისჯება?

ა.მ. - თქვენ თავად გაცით ნინა კითხვაზე პასუხი. მაგრამ, მოდით ერთი წამით დაუფიქრდეთ, რა უნდა ხალხს? არის ხელისუფლება, რომელიც ამბობს, რომ დილოგი აუცილებელი და ოპოზიციას ამას ამბობს. მაგრამ რეალურად სიამოვნებით დაეროდნენ ერთმანეთს, რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციები. თქვენ მეკითხებით და არ გჯერათ, რომ ხალხს ეს დილოგი უნდა და მე კი გუთხვებით, რომ ერთადერთი გამოსავალი სამოქალაქო დაპირისპირებაშია.

ბ.ჯ. - თქვენს თავს ენინააღმდეგებით. არ მჯერა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას დაპირისპირება უნდოდეს.

ა.მ. - არ გჯერათ და ავერ ნახავთ.

ბ.ჯ. - კი მაგრამ, თქვენ რა გინდათ? თქვენ ხომ, თითქოს ერთი შეხედვით, სამოქალაქო სექტორს წარმოადგენთ? თქვენ ჯანსაღად უნდა შეაფასოდ მოვლენები და ამ დროს რას აკეთებთ? მოქალაქეებს აქეზებთ, რომ ერთმანეთს დაერივნონ?

ა.მ. - არა, ჩვენ კი არ ვაქეზებთ, ჩვენ გამოვხატავთ ხალხის ნებას.

ბ.ჯ. - არ გეჩვენებათ, რომ ხმამაღალი ნათქვამია?

ა.მ. - იცით რას ვეტყვი - აღდგომა და ხვალეო.

ბ.ჯ. - აღდგომის დღესასწაული ერთ წელიწადშია. ხვალევე ეს არ გამოვა. ისეთ შემზარავი სურათი დახატეთ, არც მინდა დაგისვით ჩვენი რუბრიკის ტრადიციული შეკითხვა.

ა.მ. - სამწუხაროა, არა და ერთი კარგი კურონი მქონდა მომზადებული.

ბ.ჯ. - არ ღირს... წარმოიდგენია რა იქნება!

ა.მ. - ერთი თხოვნა მაქვს, ვიცი რომ თქვენი გაზეთი ევროპაშიც ვრცელდება და მინდა მივმართო ჩემს მეგობრებს საფრანგეთში: ვალერა, ომარ ჯიგარო, თენგულა, თქვენ გენაცვალეთ, მალე ჩამოვალ და აბა მაგარად იყავით. დამხვდით, მგონი ემიგრაცია მომიწევს.

ბ.ჯ. - დიდი მადლობა და ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც წარმატებებს ვერ გისურვებთ. ვალერ, ომარ ჯიგარო და თენგულა, მოემზადეთ.

დენ ბრაუნის ახალი რომანი გამოდის

მანამდე კი ანგელოზები და დემონები ეკრანზე



დენ ბრაუნმა სახელი ბესტსელერებით - [და ვინჩის კოდი] და [ანგელოზები და დემონები] - გაითქვა. მწერლის ახალი რომანი, სახელწოდებით - [დაკარგული სიმბოლო] (The Lost Symbol), ამერიკის წიგნის მაღაზიებში 2009 წლის 15 სექტემბრიდან გამოჩნდება. ამ გამოცემის სანყისი ტირაჟი ხუთი მილიონი იქნება. ასეთი ინფორმაცია მწერლის საიტზე გავრცელდა.

ახალი რომანის მთავარი გმირია მკითხველისთვის კარგად ნაცნობი რობერტ ლენგდონი, მოქმედება სულ 12 საათის განმავლობაში ვითარდება. უფრო დაწვრილებით ამ წიგნის შესახებ მისი გამოცემის შემდეგ შევიტყობთ.

დენ ბრაუნის ცნობილი ნაწარმოების თავდაპირველი, სამუშაო სახელწოდება [სოლომონის გასაღები] იყო. 2006 წლის დასაწყისში ბრაუნის გამომცემლობამ - Doybleday - გაავრცელა ინფორმაცია, რომ მწერლის მომდევნო წიგნის შინაარსის გაგება [და ვინჩის კოდის] სუპერყდიდან შეიძლებოდა. ამ მითითების თანახმად, რამდენიმე ცნობილი გამოცემის ჟურნალისტმა დაასკვნა, რომ ბრაუნის ახალი წიგნის მოქმედება ვაშინგტონში განვითარდებოდა და მასში, სავარაუდოდ, ჩართული იქნებოდნენ მორმონები, მასონები და ცერეუს წარმომადგენლები.

დენ ბრაუნმა ახალი რომანის გამოცემა რამდენჯერმე გადადო: თავდაპირველად ის 2006 წლის შემოდგომაზე უნდა გამოქვეყნებულიყო, შემდეგ მისი გამოცემა 2007 წელს გადაიტანეს, მაგრამ მწერალმა ამ წიგნზე მუშაობა მხოლოდ 2009 წლის თებერვალში დაასრულა.

[და ვინჩის კოდი] 2003 წლის მარტში გამოქვეყნდა, 54 კვირის განმავლობაში მას გაზეთ The New York Times-ის ბესტსელერების რეიტინგში პირველი ადგილი ეკავა და 81 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ამ წიგნის ეკრანიზაცია საზოგადოებამ 2006 წლის მაისში იხილა. კინოგაქირავებაში მან 758 მილიონი დოლარი მოაგროვა. 2009 წლის 15 მაისიდან კი ეკრანზე დენ ბრაუნის [ანგელოზები და დემონები] გამოჩნდება.

ალსანიშნავია, რომ სტუდიამ Columbia Pictures მწერლის მესამე რომანის ეკრანზე გადატანის სურვილი უკვე გამოთქვა. ამ კინოკომპანიას სურს, მაყურებელი კიდევ ერთხელ შეახვედროს პროფესორ

ლენგდონს, რომელიც დენ ბრაუნის წიგნების მთავარი გმირია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კინოსტუდიამ თავისი გეგმების შესახებ ეკრანზე [ანგელოზებისა და დემონების] გამოსვლამდე განაცხადა.

Columbia Pictures-ის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ახალი ფილმის შემოსავალი [და ვინჩის კოდისას] გაუთანაბრდება და სულ ცოტა 758 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ამ ფილმებში პროფესორ ლენგდონის როლს ტომ ჰენკსი ასრულებს.

ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკული კათოლიკური ლიგა ფილმის [ანგელოზები და დემონები] შექმნელებისა და ორიგინალური ნა-

წარმოების ავტორის მიმართ საპროტესტო კამპანიის გაჩაღებას გეგმავდა.

კათოლიკური ლიგის ხელმძღვანელობამ სპეციალური ბუკლეტის გამოცემის შესახებაც დააანონსა. [ეს დოკუმენტი თვალს აუხელს მათ, რომლებიც ეკლესიისადმი მტრულად არიან განწყობილნი] - ასეთი კომენტარი ლიგის პრეზიდენტმა - ბილ დონაჰიმ გააკეთა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დენ ბრაუნის რომანის [ანგელოზები და დემონები] 39 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა, ხოლო [და ვინჩის კოდის] - 81 მილიონი ეგზემპლარი.

ჯონი დეპი და ბუდისტები



ფილმები ჯონი დეპისა და ევან მაკგრეგორის მონაწილეობით ბუდისტური კინოფესტივალის ფარგლებში იქნება ნაჩვენები. აღნიშნული ფესტივალი დიდ ბრიტანეთში უახლოეს მომავალში გაიმართება. ჯიმ ჯარმუშის ფილმი "მკვდარი", სადაც დეპი თავისუფალი მკვლელის როლს თამაშობს და მარკ ფორსტერის ფილმი "დარჩი", სადაც მაკგრეგორი ფსიქიატრის სახით არის წარმოდგენილი, რომელიც ცდილობს თავისი პაციენტის თვითმკვლელობა თავიდან აიცილოს, ფესტივალის პროგრამაშია უკვე შესული. ორგანიზატორების განცხადებით, ისინი "ბარდოს პრობლემას - ერთი ცხოვრებიდან შემდეგ ცხოვრებამდე ინტერვალს განიხილავენ.

მთლიანობაში ფესტივალზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 40 ფილმი იქნება ნაჩვენები. დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ბუდისტების კინოფორუმი პირველად იმართება. ადრე ფესტივალი სან ფრანცისკოში, ლოს ანჯელესში, სინგაპურსა და მენიკოში იმართებოდა. ბუდისტების კინოფესტივალი თავის მუშაობას 7 მაისიდან 17 მაისამდე გააგრძელებს.

ალსანიშნავია, რომ 2009 წლის ივლისში ეკრანზე რეჟისორ მაიკლ მანის დრამა -

"ჯონი დ." გამოვა, სადაც დეპმა ცნობილი განგსტერის ჯონ

დილინჯერის როლი ითამაშა. ფილმის სცენარს საფუძველად

ბრაიან ბაროუს ნამუშევარი "საზოგადოების მტერი: ამერიკის კრიმინალის დიდებული ომი და გამოძიების ფედერალური ბიუროს დაარსება, 1933-43" დაედო. შეგახსენებთ, რომ მაიკლ მენი ისეთი ფილმების რეჟისორია, როგორებიცაა: "შეტაკება" (Heat, 1995) ალ პაჩინოსა და რობერტ დენიროს მონაწილეობით და "თანამონაწილე" (Collateral, 2004) ტომ კრუზის მონაწილეობით.

რაც შეეხება მაკგრეგორს, უახლოეს მომავალში იგი მთავარი როლს შეასრულებს ფილმში - The Electric Slide, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ყველაზე ცნობილ ბანკების მძარცველზე - ედი დოდსონის შესახებ მოგვითხრობს. 80-იანი წლებში მან ლოს ანჯელესში და მის შემოგარენში 70-ზე მეტი ბანკი გაძარცვა, სანამ გამოძიების ფედერალური ბიურო მის დაპატიმრებას შეძლებდა. გადასაღებ მოედანზე მაკგრეგორის პარტნიორი ქალი მსახიობი კერი მულიგანი იქნება, ხოლო ფილმის რეჟისორად ტრისტან პატერსონი დანიშნეს.

საზოგადოება წარმოადგენს...

შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარესთან. ანუ კიდევ ერთი საზოგადოება

ერთნი რამდენიმე დღის წინ ლიტერატურულ კავშირში ერთგვარ მანიფესტს ანერდენ ხელს. წერილის ავტორთა პოზიციებს შორის ძალიან დიდი გახლდათ სხვაობა. ლაშა ბუღაძე, ბასა ჯანიკაშვილი, რატი ამალალოები, დათო ტურაშვილი და მათი მეგობრები გამოსავალს დილოგში ხედავენ, ოღონდაც ყოველი მათგანი განსხვავებულად ხედავს ამ დილოგის მიზანსა და განსახილველ საკითხებს. ერთნი უფრო ზომიერნი, მეორენი კი ბევრად რადიკალურნი არიან. ამის მიხედვად, მაინც მოახერხეს დაენერათ სადა და საკმაოდ ღრმა შინაარსის ტექსტი, რომელიც არც ერთ მათგანს არ გაანაწყენებდა. ამ წერილით ისინი საზოგადოების სახელით, უფრო სწორად საზოგადოების ერთი საკმაოდ მასშტაბური ნაწილის სახელით მსჯელობდნენ. უპარტიო ადამიანების სახელით. მართალია, მათი ტექსტი ყოველი ავტორისთვის გახლდათ მისაღები, მაგრამ სრულიად მოულოდნელი გამოდგა საზოგადოების სხვა ნაწილისთვის. მათთვის, ვინც ქუჩის აქციებში მონაწილეობენ და კიდევ მათთვის ვინც ქუჩის აქციებში მონაწილეობისთვის ხალხს მოუწოდებს და უბიძგებს. ამ აქციების ელიტის წარმომადგენელი მწერლები გაუანაწყენდნენ და მხატვრობის პირდაპირ ეთერში დაკითხვა გაუმართეს. არც საყვედურებმა (რბილად რომ ვთქვათ) და იგვიანეს. დამნაშევე-ექვმიტანილებიც თავს იმართლებდნენ. ანუ რა მოხდა? საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს გაუჯავრდა, არც მეტი არც ნაკლები, იმიტომ რომ ერთმა მეორესგან დაუკითხავად აზრი გამოთქვა, იმიტომაც რომ ეს გამოთქმული აზრი მათ მეორეთა აზრს ბოლომდე არ გავდა და იმიტომაც, რომ ზოგიერთი მათთვის მისაღები აზრი მათ მეორე უკვე უყურადღებო და სხვას ამის გამოკრება არ უნდა გაეხდებოდა. ასე მოხდა რამდენიმე დღის წინ - საზოგადოების ორი დიდი ნაწილის, პირობითად - რადიკალებისა და მსჯელებს შორის. რადიკალებისა და მსჯელებისა შორის. რადიკალებისა და მსჯელებისა შორის. რადიკალებისა და მსჯელებისა შორის.

ოცნებობენ კიდევ სხვებიც, და რაც მთავარია მათი ეს ოცნებები კიდევ განსხვავდება პირველთაგან რაღაც დეტალებში. ამ ნაწილში არ მოიაზრებიან ლიტერატურულში შეკრებილინი, თუმცა ეს ნაწილიც საზოგადოების რომელიღაცა და აშკარად მნიშვნელოვანი ნაწილია. სავარაუდოდ ამ ნაწილს შეხვედა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. შეხვედრა პრესისთვის ისევე მიუწვდომელი გახლდათ. ამიტომაც სხვადასხვა სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში გასულ ინფორმაციას გავამთლიანებთ და ციტირებას მოვახდენთ.

შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარემ და კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები განიხილეს და აღნიშნეს, რომ ქვეყნის კრიზისიდან გამოსავლანად, ოპოზიციასა და ხელი-სუფლებას შორის დილოგის დაწყება აუცილებელია. ახალი თითქმის არაფერია. ეს აზრი აქვე საზოგადოების კიდევ რამდენიმე სხვა ნაწილს.

“დილოგი გულისხმობს, პირველ რიგში, კომუნიკაციას ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ამიტომაც, ჩვენ ვაგრძელებთ შეხვედრებს საზოგადოების წარმომადგენლებთან და ჩვენთვის მთავარი და გადამწყვეტი საზოგადოების აზრია იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში და რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ არსებული პრობლემების დასაძლევად. ჩვენ შევეცდებით, შევხედოთ საზოგადოების რაც შეიძლება მეტ წარმომადგენელს იმისთვის, რომ მოვისმინოთ მათი მოსაზრებაც და მათაც შევუძლია ადეკვატური აზრი ხელისუფლების ქმედებებზე. დილოგი არ არის მხოლოდ პოლიტიკოსების პრეროგატივა, დილოგი, პირველ რიგში, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის უნდა შედგეს”, - განაცხადა შეხვედრის შემდეგ ბაქრაძემ და შეუძლებელია არ დავეთანხმოთ და არ აღვნიშნოთ, რომ სწორედ ეს დილოგია ყველაზე მნიშვნელოვანი.

ცხადია, მხოლოდ სატელევიზიო ინფორმაციას ვერ დავეყრდნობოდით

და შევეცადეთ შეხვედრაზე მყოფთა ვინაობა დაგვედგინა. ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია: უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პროფესორები, რამდენიმე დრამატული თეატრი თითქმის სრული შემადგენლობით, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელები. ორივე მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი მუსიკოსები, მომღერლები, სხვადასხვა კულტურული ინსტიტუციის მმართველები. მათგან მხოლოდ რამდენიმესთან დაკავშირება შეეძლებოდა.

მაცაცო სებისკვერაძე: ჩემი აზრი ისაა, რომ ორივე მხარემ უნდა მოილაპარაკოს, ქუჩის მეთოდები უკვე მიუღებელია. გასვლა რომ არ შეიძლება გარეთ და სკოლებში რომ ჩაშლილია სწავლის პროცესი, ეს ნორმალურია? ჩვენ მომხრენი ვართ იმისა, რომ დასხდნენ და მოიპალარკონ. ასე ცხოვრება ხომ არ შეიძლება. პრეზიდენტის სკამის მსურველი ოპოზიციის რიგებში არის 99 პროცენტი. რამდენი შეიძლება ავირიოთ? იქნებ პრეზიდენტი ერთი თვით აგვერჩია, რათა ყოველი მათგანის ამბიციების დაკმაყოფილება შეეძლოთ? მოკლედ, ჩვენ მათი ამბიციების დასაკმაყოფილებლად უნდა ვიცხოვროთ თურმე და სხვა არაფრისთვის...

ბუბა კიკაბიძე: შეხვედრაზე ვისაუბრეთ კონსტიტუციაზე, სასამართლოზე. ხელისუფლება მზადაა ცვილები განახორციელოს ამ იმპარტიულებით. დილოგი ცუდი სიტყვა გახდა დღეს ჩვენთან, მაგრამ უნდა ვილაპარაკოთ. დაილა ხალხი, პოლიტიკოსები უნდა დასხდნენ და დაილაპარაკონ.

გიორგი უშიგელი: საუბარი იყო ზოგადი, ძირითადად ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს გამოსავალი ამ სიტუაციიდან, რა საფრთხეებია. ვისაუბრეთ ისეთ თემებზე რაც ყოველ ოჯახში განიხილება. საერთო ჯამში, ჩემი აზრი ასეთია: ცივილური ფორმებით უნდა მოილაპარაკონ ყველა იმ საკითხზე, რომელიც აწუხებს ხალხს. მეონია, რომ ახლა არ არის რადიკალიზმის თიანობის მიმართ. ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ მასას შეეფერება.

სოფო კილასონია

საზოგადოება - ადამიანთა თანაცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმების ერთობლიობა. სოციალური სისტემის კონკრეტული ისტორიული ტიპი - ასეთ განმარტებას ამოიკითხავთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. შესაძლოა, რომელიმე ახალ გამოცემაში ბევრად გასაგებად ეწეროს, თუმცა თანაცხოვრებასა და თანამოღვაწეობას მაინც ვერსად გავუქცევით. ვერ გავუქცევით განმარტებით ლექსიკონებში, ქალაქებსა და წიგნებში, თორემ ქართულ სინამდვილეში საზოგადოებას სულ სხვა, რაიმე ორიგინალური და ეგზოტიკური განმარტება უნდა მიეცეს. სხვაგვარად აბა როგორ, ვანა ქართული საზოგადოება, მთელი მისი წერილი და მსხვილი სისტემები რაიმეს საერთოს ერთმანეთთან ნახულობენ?

მაინც რას, ანდა ვის წარმოადგენს საზოგადოება და საზოგადოების ერთი ნაწილი? კიდევ საზოგადოების სხვა ნაწილი? რას ნიშნავს ეს საზოგადოება დღეს საქართველოში - სწორედ ეს შეკითხვა გვიჩნდება პირველად, როცა საქართველოს ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებს ვუსმენთ და ვუბნებთ განსაკუთრებით ამ ბოლო დღეებში. როცა ვისმენთ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებულ კომენტარებს, როცა გვესმის მათ მიერ გახმოვანებული საზოგადოების აზრი, უფრო სწორად საზოგადოების ერთი ნაწილის აზრი, ანდა სულ სხვა ნაწილის. ამ ბოლო დღეებში იმდენად შევეცადეთ საზოგადოების საერთო აზრი გაგვეგო და ამ საზოგადოების კრებითი სახე დაგვენახა, უნებლიედ ეს საზოგადოება პატარა ნაწილაკებად შემოგვეფუშნა ხელში და გაგვიკვირდა, მაყურებელი თუ მკითხველი კი საზოგადოების საერთო აზრის ძიებაში ძალიან დაიბნა. ეს იმის მიუხედავად, რომ ყველა ამ საზოგადოების სახელით ვსაუბრობთ.

Altervision vs Eurovision

15-17 მაისს თბილისში გრანდიზული მუსიკალური ფესტივალი გაიმართება

იან პეკია

სწორედ მაშინ, როდესაც მოსკოვის რომელიღაც საკონცერტო დარბაზში ვეროვიზია 2009-ის კონკურსანტები ევროპელი მაყურებლისთვის საკუთარი მუსიკალური უპირატესობის დამტკიცებით იქნებიან დაკავებულნი, თბილისის იპოდრომზე ჩვენი ქვეყნისთვის უპერეცენტო მასშტაბის ფესტივალი იღებს სტარტს. Tbilisi Open Air - Altervision სლოგანით მუსიკა ათავისუფლებს ნელს პირველად გაიმართება და თავს სწორედ იმ მუსიკოსებსა და მსმენელს მოუყრის, ვისთვისაც ვეროვიზიის ალტერნატივა არსებობს და ვისაც არ ეშინია ხმაბალა თქვას: ჰრ მინდა Put In!

Tbilisi Open Air - Altervision-ისთვის მზადება უკვე გადამწყვეტ ფაზაშია შესული. ამჟამად დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხი. სხვა მხრივ ყველაფერი მზადაა და ახლა მხოლოდ კარგი მუსიკისა და მსმენელის ერთმანეთთან შესახვედრად ემზადება. შეხვედრის ადგილი კი როგორც გითხარით, თბილისის იპოდრომა - სამი დღის განმავლობაში სწორედ ეს ადგილი იქნება ქვეყნის ყველაზე ხმაურიანი და კულტურულად მნიშვნელოვანი ადგილი. როგორც ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მუსიკოსმა ვახო ბაბუნაშვილმა აღნიშნა, იპოდ-



Altervision სტუდენტსა და 3G-ს მხარდასაჭერად იმართება

რომზე უკვე მიმდინარეობს ცხენების სარბენი ადგილის საკონცერტო სივრცედ გადაკეთებისთვის მზადება. აქ აშენდება არა მხოლოდ სცენა და კულისები, არამედ კაფეები და სხვა ობიექტები - ერთი სიტყვით, საფესტივალო ქალაქი, რაც მსმენელს საშუალებას მისცემს მთელი დღის განმავლობაში არა მხოლოდ მუსიკით ისიამოვნონ, არამედ დროც შესაბამისად გაატარონ. ორგანიზატორებს სურთ, ფესტივალს რაც შეიძლება ბევრი ადამიანი დაესწროს, ამიტომ კონცერტები უფასო იქნება, ხოლო უნარშეზღუდული

ადამიანებისთვის სპეციალური შესასვლელები გაკეთდება. თბილისში ღია ცის ქვეშ პირველად იმართება ასეთი მასშტაბის კონცერტები, რაც ათამაგად ძლიერ აპარატურას მოითხოვს. ორგანიზატორებმა ამაზეც იზრუნეს - კონცერტებამდე ერთი კვირით ადრე უკრაინიდან აპარატურით დატვირთული რვა ტრაილერი ჩამოვა, რომელთა საერთო წონა რამდენიმე ათეულ ტონას იწონის. Altervision სამ საფესტივალო დღეზეა განეირი. 15 მაისს შარდენის ქუჩაზე საზეიმო გახსნა გაიმართება, 16 და 17 მაისს კი საკონცერტო დღეებია. სცენაზე ვიხილავთ და მოვისმენთ პრაქტიკულად ყველა თანამედროვე ჟანრის მუსიკას: როკს, ფიუჟენს, ალტერნატივას, ელექტრონულ მუსიკას და სხვა. ამჯერად ფესტივალის ორგანიზატორები თავს იკავებენ სრული პროგრამის დასახელებისგან, რადგან რამდენიმე შემსრულებლის პასუხს ვერ კიდევ ელიან, თუმცა უკვე ცნობილია, რომ თბილისში ევროპისა და მერიკის 15 ქვეყნის 22 შემსრულებელი და ჯგუფი ჩამოვა (მათ შორის, რუსეთიდანაც). მათ შორის არიან ისეთებიც, ვისაც შესაძლოა ქართველი მსმენელი ნაკლებაც იცნობს, თუმცა თავიანთ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ და მართლაც მაღალი დონის მუსიკოსები არიან. ამბობს ვახო ბაბუნაშვილი.

ასევე არ სახელდება იმ მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსთა ვინაობაც, ვისთან მოლაპარაკებაც დღემდე მიმდინარეობს. თუ თბილისში ჩამოსვლა მათთვის დროის თვალსაზრისით ხელსაყრელი იქნება, მსმენელს მართლაც დიდი სიურპრიზი ელის. რაც შეეხება ფესტივალის ქართველ მონაწილეებს, უკვე დაზუსტებით ცნობილია, რომ სცენაზე ჯგუფ String-ს ვიხილავთ. ასევე იმღერებენ სტეფანი და 3G, რომლებიც ამ დროისთვის ლონდონში იქნებიან გასტროლებზე და თბილისში ფესტივალის ბოლო დღეს ჩამოვლენ.

სხვათა შორის, მთელი ფესტივალი სწორედ მათ მორალური მხარდაჭერისთვის იმართება და 15-17 მაისიც სპეციალურად შეირჩა. საქმე ისაა, რომ Altervision-ის ჩატარება ზაფხულის პირველ თვეს იგეგმებოდა, თუმცა რამდენიმე ინგლისელმა მუსიკოსმა ფესტივალის ორგანიზატორებს ურჩია, კონცერტები მოსკოვის ვეროვიზიის მხარდასაჭერად გაემართათ (ფესტივალისთვის მზადება თითქმის ორი წელია მიმდინარეობს - ვეროვიზიამ მხოლოდ მისი ჩატარების ვადაში შეიტანა კორექცია). ეს ნინადადამა მამიშვილი მივიღეთ, რადგან მივიჩნიეთ, რომ ეს პროტესტის ერთგვარი ფორმა იქნებოდა - ქართველი შემსრულებლები ხომ უსამართლოდ, უფრო კი პოლიტიკური ნიშნით დატოვეს კონკურსის მიღმა? - განაცხადა ვახო ბაბუნაშვილმა.

Tbilisi Open Air - Altervision-თან დაკავშირებით საინტერესოდ აქტიური რეაქცია ჰქონდა რუსულ ინტერნეტ პრესასაც, სადაც დანერგული თემატიკით ამოიკითხოთ ამ ბები თბილისის მუსიკალური მისის შესახებ. ამჯერად რუსი ჟურნალისტები მხოლოდ ინფორმაციის მოწოდებით შემოიფარგლნენ, თუმცა არ არის გამორიცხული, ვეროვიზიის დანყებისთანავე გააქტიურდნენ, რადგან შეტყუებულები იმასაც ნერენ, რომ ქართველების Altervision Eurovision-ის გაცილებით მაღალი დონის ალტერნატივადაა ჩაფიქრებული.

“ჩვენი მწერლობის” დარბაზში ნინო ჩხიკვიშვილის წიგნის წარდგინება გაიმართა

ჟურნალ “ჩვენი მწერლობის” დარბაზში ნინო ჩხიკვიშვილის წიგნის - “თამაში თამაშის გარეშე” წარდგინება გაიმართა. მასში თავმოყრილია ინტერვიუები ქართული თეატრის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორებიც თემურ ჩხეიძე, ერლომ ახვლედიანი, რეზო ჩხიკვიშვილი და სხვები არიან. წიგნის მეორე ნაწილში კი სხვადასხვა ცნობილ სპექტაკლზე გამოქვეყნებული რეცენზიები არის შესული. აღნიშნული მასალები თავდაპირველად ჟურნალ “რემეგაში” დაიბეჭდა. “თამაში თამაშის გარეშე” 2005 წელს გამოიცა, თუმცა, მისი პრეზენტაცია ობიექტური მიზეზით აქამდე ვერ მოხერხდა.

როგორც “ჩვენი მწერლობის” მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ავტორმა ამ წიგნით არა მხოლოდ ქართული თეატრის, არამედ ჩვენი ზნეობრივი ისტორიის დეტალები აღადგინა. ის ცოცხლად არის დაწერილი და არა მარტო თეატრალური კრიტიკის, არამედ, საერთოდ, კრიტიკისთვის არის ფასეული. მისივე თქმით, დიალოგი დღეს მოდური ჟანრია. თავის დროზე კი, ის საერთოდ არ არსებობდა. დღეს დიალოგი წამლეკავ ჟანრად იქცა, მაგრამ რამდენადაც წამლეკავია, იმდენად ზერელეა. ჟურნალისტიები ცდილობენ, მოსაუბრეს სკანდალური რამ ათქმევიონ. თუმცა, ამ ჟანრისათვის მთავარი რესპონდენტის ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოკვეთაა, რასაც ნინო ჩხიკვიშვილი წარმატებით ახერხებს”, - აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

როგორც წიგნის რედაქტორმა ვასილ კიკნაძემ განაცხადა, “თამაში თამაშის გარეშე” სათეატრო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. დასავლეთ ევროპის თეატრმცოდნეობით პრაქტიკაში ყველაზე მეტად სწორედ ასეთი ჟანრია ფართოდ გავრცელებულია და წარმატებულიც, საქართველოში კი, მას დიდი ტრადიცია არა აქვს.

ნინო ჩხიკვიშვილის კრებული ევროპული ტიპის სათეატრო ჟურნალისტიკის საუკეთესო ნიმუშია. ამ პატარა წიგნში მსახიობების დიდი ცხოვრება დავინახე. მათი ისტორია წლების შემდეგ უფრო ფასეული გახდება. ამასთან, ეს წიგნი იმ მწერლის დაწერილია, რომელიც სიტყვის ენერჯის შეიგრძნობს”, - აღნიშნა ვასილ კიკნაძემ.

ლიტერატურისმცოდნე ნინო ვახანიას შეფასებით, თითოეული ინტერვიუ, ნოველასავით იკითხება, რასაც ავტორი რესპონდენტის ფსიქოლოგიის გახსნით, საუბარს ადგილისა და დროის ოსტატური აღწერით აღწევს. მისივე თქმით, ეს ინტერვიუები ფასეულია იმით, რომ მას შესაბამისი დარგის - თეატრის მცოდნე იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მშრალი გამოვიდოდა. ლიტერატურისმცოდნე ნინა კუპრეიშვილის განცხადებით, ნინო ჩხიკვიშვილი იმის საოცარი უნარი აქვს, რომ სერიოზულ პრობლემებზე მსუბუქად და ლაღად წეროს. ამის გამო მისი ნაწერები ძალზე საინტერესოდ იკითხება. ამასთან, ავტორს შეუძლია, მკითხველიდან ისეთი ადამიანიც კი გახსნას ბოლომდე, როგორც ეროლომ ახვლედიანია. წიგნზე მოსაზრებები გამოთქვას: მარიამ ნიკოლაურმა, მანანა დემეტრაშვილმა, თამარ ყალიჩავამ, გია ლეჟავამ, მაია ჯალიაშვილმა. მათ ნინო ჩხიკვიშვილს შემდგომი წარმატებები უსურვეს და ერთხმად აღნიშნეს, რომ ისინი ავტორისგან სხვა წიგნების გამოცემასაც ელიან.

მედიანიუსი

ფლობერის ხელნაწერები გაშიფრეს

საფრანგეთის ქალაქ რუანის უნივერსიტეტმა გახსნა საიტი, რომელიც გუსტავ ფლობელის რომანის - “მადამ ბოვარი”-ს ხელნაწერებს ეძღვნება. 4600 ფურცლის გაშიფრვას მსოფლიოს 17 ქვეყნის 600 მობალიხე ცდილობდა, მათ შორის იაპონიიდან, ტაილანდიდან, უნგრეთიდან, არგენტინიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან და ა.შ. მოხალისეთა ასაკი 16-დან 76 წლამდე მერყეობდა, აღნიშნული პროექტის საიტზე. როგორც Reuters-ი იუწყება, ხელნაწერების გაშიფრვას ათი წელი და 120 ათასი ევრო დაჭირდა.

რომანის თითოეული გვერდის ფოტოგრაფიას თან ახლავს გაშიფრული ტექსტი, რომელზეც სპეციალურად არის აღნიშნული ფლობელის ხელით გაკეთებული ყველა შესწორება.

აღსანიშნავია, რომ გუსტავ ფლობელი “მადამ ბოვარს” დაახლოებით, ხუთი წლის განმავლობაში წერდა. 1856 წელს პუბლიკაციას ხელი მოჰკიდა ჟურნალმა La Revue de Paris, ხოლო 1857 წელს, რომანის გარემო ატეხილი სკანდალისა და იმ სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელის ფლობელის საწინააღმდეგოდ ჩატარდა, რადგანაც მას მორალის ფეხქვეშ გაქეღვისთვის ადანაშაულობდნენ, “მადამ ბოვარი” ცალკე წიგნად გამოიცა. ეს რომანი XIX საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებად არის მიჩნეული. “მადამ ბოვარის” ხელნაწერი ქალაქ რუანის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში ინახება. პროექტს, სახელწოდებით Les Manuscrits de Madame Bovary, ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტი და გამოყენებითი ხელოვნების საქალაქო მუზეუმი კურირებდა.

მაკარტნიმ ჰარისონის პარსკვლავი გახსნა

ჯგუფ “ბითლზის” ყოფილი წევრის ჯორჯ ჰარისონის ვარსკვლავი ლოს ანჯელესის ცნობილ დიდების ხეივანში გამოჩნდა. კომპანია Capital Records-ის შენობაში გამართულ ვარსკვლავის გახსნის ცერემონიას სერ პოლ მაკარტნი, ჯორჯ ჰარისონის ქვრივი ოლივიასთან და ვაჟიშვილ დანისთან ერთად დაესწრო. მეორეაღმის გახსნის ცერემონიაზე ოლივიამ გარდაცვლილი მეუღლის შესახებ ისაუბრა: “ის არაჩვეულებრივი, მისტიკური პიროვნება იყო, რომელიც მატერიალურ სამყაროში ცხოვრობდა”.

ჯგუფ “ბითლზის” ყველაზე ახალგაზრდა წევრი ჰარისონი 2001 წელს, 58 წლის ასაკში ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა. ლოს ანჯელესში გამართულ ცერემონიაზე სხვა ცნობილ ადამიანებს შორის იყვნენ “მონტი პაიტონის” ერთ-ერთი შემქმნელი ერიკ აიდლი, ორი “ოსკარის” მფლობელი მსახიობი ტომ ჰენკსი და მუსიკოსი ტომ პეტი. ერიკ აიდლმა ჰარისონს “არაჩვეულებრივი ადამიანი, იუმორის დიდებული გრძნობით” უწოდა. “ჯორჯ ჰარისონის გიტარიდან, ამ ექვსი სიმიდან მომავლის ხმა ისმოდა. მოდი, მადლობა ვუთხრათ ლეო ფენდერს, რომელმაც მუსიკაში ელექტროობა შემოიტანა. მოდი, მადლობა ვუთხრათ ყველას იმისთვის, რომ მათ ჩვენ ჯორჯი გვაჩუქეს”, - განაცხადა ტომ ჰენკსმა. “თითოეული მისი დისკი მოვლენა იყო, ყოველი სიმღერა - ოპერა, მთლიანად მისი მუსიკა ჩვენს საკუთარ ისტორიაზე მოგვითხრობდა. რა თქმა უნდა, როგორც



თავად ჯორჯი მღეროდა, ყველაფერი მიდის - All Things Must Pass, თუმცა ჩვენთვის ჯორჯი მუდამ იცოცხლებს”, - დაამატა მსახიობმა.

ჯორჯ ჰარისონი ჯგუფ “ბითლზი“-ს წევრებიდან მეორეა, ვისი ინდივიდუალური ვარსკვლავიც ჰოლივუდის დიდების ხეივანში გახსნეს. სხვა ბევრი ჯგუფის შემადგენლობასთან ერთად, ის ადრე უკვე იყო წარდგენილი ამ ჯილდოზე, თუმცა “ბითლზებიდან”

მხოლოდ ჯონ ლენონს მიეძღვნა პირველი პირადი ვარსკვლავი, რომელიც 1988 წელს მისი სიკვდილის შემდეგ გაიხსნა.

ლოს ანჯელესის დიდების ხეივანში მალე სერ პოლ მაკარტნის ვარსკვლავიც გაიხსნება, თუმცა ცერემონიის თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ პოლ მაკარტნიმ და რინგო სტარმა აპრილის დასაწყისში კინორეჟისორ დევიდ ლინჩის ფონდის

მიერ ნიუ იორკში ორგანიზებული საქველმოქმედო კონცერტში მიიღეს მონაწილეობა. სერ პოლმა “ბითლზის” სრამდენიმე და სოლო ჰიტი შეასრულა, რის შემდეგაც სცენაზე რინგო სტარი მოხმო. “ახლა მოვიდა იმის დრო, რომ თქვენთვის კარგად ცნობილი ადამიანი წარმოგიდგინოთ. იგი გამოვა და ამ სასიხარულო საღამოს თქვენთვის პატარა სიმღერას შეასრულებს. ქალბატონებო და ბატონებო! ბილი შორსი!”, - განაცხადა მაკარტნიმ, რომელიც “ბითლზისეული” სიმღერიდან SGT Pepper’s Lonely Hearts Club Band, სტარის ფსევდონიმს გულისხმობდა. სტარმა, კონცერტზე სიმღერების: Yellow Submarine და Boys-ს შესრულების შემდეგ მაკარტნის დასარტყამი ინსტრუმენტებით აკომპანიმენტი გაუწია. გარდა ამისა, “ლივერპულიელი ოთხეულის” რეპერტუარიდან ერთად შეასრულეს სიმღერა - With a little help from my friends, რის შემდეგაც ძველმა მეგობრებმა ერთმანეთი გადაკოცნეს. თვალცრემლიანმა მაკარტნიმ კონცერტზე ჯონ ლენონიც გაიხსენა და მის საპატივსაცემოდ სიმღერა Here Today შეასრულა, ხოლო სიმღერა Blackbird ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბარაკ ობამას მიუძღვნა.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად მაკარტნი და სტარი ერთად 2002 წელს, ჯორჯ ჰარისონის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე გამოვიდნენ.

რა გააყოლეს ხელს გერმანელებმა

კლიმტის ნახატი ებრაელებს უბრუნდება

მალე ქალაქ ლინცის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი Lentos გუსტავ კლიმტის ნახატს ხოლოკოსტასთან დაღუპული ებრაელების შთამომავლებს გადასცემს. ეს სურათი ნაცისტებმა “ხელს გაყოლეს” ამის შესახებ ინფორმაციას ავსტრიული Der Standard ავრცელებს.

პორტრეტი გასული საუკუნის დასაწყისის ებრაელი გამომგონებლის ერთ-ერთ ქალიშვილს - რია მუნკს (Ria Munk) გამოსახავს. მან 1911 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ხელოვნებათმცოდნე სოფია ლილი (Sophie Lillie) აღნიშნავს, რომ კლიმტმა რინი თავდაპირველად სასიკვდილო სარეცელზე გამოსახა. ამის შემდეგ რიას ოჯახმა მხატვარს ქალიშვილის ცოცხლად დახატვა შეუკვეთა. იცნობინებია, რომ ავტორმა ამ პორტრეტის დასრულება ვერ მოასწრო.

კლიმტის ნახატი დიდი ხნის განმავლობაში რია მუნკის დედის - არანკა მუნკის (Aranka Munk) ვილაში ინახებოდა. 1941 წელს ნაცისტების წყალობით დეპორტირებული არანკა მუნკი ლოდზში აღმოჩნდა და მალე გარდაიცვალა.

მოგვიანებით ეს სურათი ვოლფგანგ გურლიტს (Wolfgang Gurlitt) ჩაუვარდა



ხელში. მან უნიკალური კოლექცია ნაცისტების მიერ მოწყობილ აუქციონებზე, სახელწოდებით - [დეგენერატიული ხელოვნება] შეაგროვა. 1965 წელს კლიმტის ნახატი ქალაქმა ლინცი შეიძინა.

ამჟამად ამ ნამუშევარის ღირებულება, AFR-ის მონაცემებზე დაყრდნობით, 15 მილიონ

ევროს შეადგენს. როგორც იტყობინებია, ამ ნახატის გადაცემა, საბოლოოდ, ქალაქ ლინცის საქალაქო მუზეუმის მმართველთა საბჭოს სხდომაზე უნდა გაამართლონ. ის 23 აპრილს გაიმართება.

აღსანიშნავია, ებრაელების შთამომავლებმა ანუ კანონიერმა მემკვიდრეებმა, კალიფორ-

ნიის შტატის ხელმძღვანელობის დახმარებით, იტალიური აღორძინების ეპოქის ორი ნამუშევარი უკვე დაიბრუნეს. ისინი ჰერსტის მუზეუმში იყო გამოფენილი. ამის შესახებ კვლავ AFR იტყობინება.

ტილოების სადღესასწაულო გადაცემა 10 აპრილს, საკრამენტოში ჩატარდა. კიდევ ერთი ნახატი “ვენერა და კუპიდონი”, რომელიც ვენეციელი ოსტატის პარის ბორდონეს მონაფის მიერ არის შესრულებული, მუზეუმში რჩება და როგორც The Los Angeles Times იტყობინება, მისი ბედი მოგვიანებით გაირკვევა.

კალიფორნიის ხელისუფლება თავის სპეციალურ განაცხადში აღნიშნავს, რომ არც მათ და არც ჰერსტის ოჯახის წარმომადგენლებმა ამ ნამუშევრების წარმომავლობაზე არაფერი იცოდნენ.

არსანიშნავია, რომ ეს ორი ნამუშევარი ადრე იაკობ და როზა ოპენჰეიმერებს (Oppenheimer) ეკუთვნოდათ და მათ ბერლინურ გალერეაში იყო გამოფენილი. 1935 წელს ნახატები გერმანელებმა ე.წ. “ებრაულ” აუქციონზე გაყიდეს. ამ აუქციონზე მხოლოდ ებრაელების ქონებით ვაჭრობდნენ.

სპორტი

კვანძი 10 მაისს გაიხსნება

საჩემპიონო რბოლა გრძელდება

მინილ აბიჯილი

ფეხბურთში საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთიოდე ტური რჩება და, ამის მიუხედავად, მთავარ შეკითხვაზე - თუ ვინ გახდება ქვეყნის ჩემპიონი, პასუხი ჯერაც არ არსებობს. ბოლო ათი ტურია, ტიტულისთვის მებრძოლი დედაქალაქური გუნდები - "ვიტ ჯორჯია" და "დინამო" საოცარი სინქრონულობით აგროვებენ ქულებს - თუ "ვიტ ჯორჯია" იგებს, "დინამოც" სამ ქულას ითვლის, ხოლო თუ ვეტერინარებს ფეხი დაუცდებათ და ქულებს კარგავენ, იმავე ტურში "დინამოც" იგივეთი "პასუხობს". თუმცა, ბოლო ოთხი ტურია, არც ერთი და არც მეორე ფავორიტი ქულების დაკარგვას არ აპირებს და როგორც აუტსაიდერებთან, ისე ქართული საზომებით მაღალი კლასის გუნდებთან შესაშური გულმოდგინებით აგროვებენ ქულათა მაქსიმუმს. ასე მოხდა წინასააღდგომო, 28-ე ტურშიც, რომელიც 17 და 18 აპრილს გაიმართა. ცენტრალური თამაში გაიმართა გორში, სტეფანია სახელობის არენაზე, სადაც "ვიტ ჯორჯიამ" უმასპინძლა სეზონის სტარტზე ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულ "ზესტაფონს", რომელმაც ბოლო დროს პოზიციები დათმო. "ზესტაფონისთვის", რომელსაც გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაციისთვის ნუგეშად ბრინჯაოს მედლების მოპოვება დარჩენია, ამ მატჩს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. მესამე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში "ზესტაფონის" კონკურენტია ჩემპიონი "ოლიმპი", რომელიც დამაჯერებლად გამოიყურება და ამ ჯილდოს დაუფლების არანაკლები შანსი აქვს. სწორედ ამიტომ გააგუჩადის გუნდისთვის "ვიტ ჯორჯიასთან" ქულების დაკარგვა მეტად ამძიმებდა ბრინჯაოსთვის ბრძოლას.

მატჩი მასპინძლების უპირატესობით დაიწყო: "ვიტ ჯორჯიამ" ეგრეთ წოდებული "სწრაფი გოლიც" გაიტანა, რაც მსგავს დაპირისპირებებში ხშირად გადაწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ეს მეორე ნუთზე მოხდა: ლიპარტიამ პასი მისცა საჯარიმოში შეჭრილ ბერიაშვილს, რომელიც კარისკენ ზურგით იყო, მაგრამ სწრაფად შემოტრიალება და დარტყმა მაინც მოახერხა. მალე სტუმრებს შეეძლოთ საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბენაშვილმა ბედიაშვილს ვერ აჯობა. ამ ეპიზოდის შემდეგ მუშლაძის გუნდმა ხელთ იგდო ინიციატივა და პირველივე ტაიმში შეეძლო მატჩის ბედის საბოლოოდ გადაწყვეტა. ჯერ ლიპარტიას მიერ დიდებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმა მოიგერია ძელმა, შემდეგ კლიმიაშ-



ხმალიდან გამარჯვების გოლი გაიტანა

ვილს ორჯერ ჰქონდა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ორჯერვე მისი დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოდგა. შეხვედრის პირველი ნახევარი მასპინძელთა მინიმალური უპირატესობით, ანგარიშით 1:0 დასრულდა. მეორე ტაიმში სცენარი არ შეცვლილა. თამაში თითქოს გათანაბრდა, მაგრამ უფრო სახიფათოდ და მიზანმიმართულად "ვიტ ჯორჯია" უტევდა. კვანძი 66-ე ნუთზე გაიხსნა: კუთხურიდან ჩამონოდების შემდეგ ლომიაშვილმა ზესტაფონელთა მეკარე დაასწრო და თავით მეორე გოლი გაიტანა. ერთადერთი, რაც დარჩენილ დროში სტუმრებმა მოახერხეს, გელაშვილის ნაქცევისთვის მის მიერვე 85-ე ნუთზე რეალიზებული პენალტია. საბოლოოდ "ვიტ ჯორჯიამ" გაიმარჯვა - 2:1 და ერთქულიანი ლიდერობა შეინარჩუნა. კონკურენტთან შედარებით, "დინამოს" ნაკლებად მრისხანე მეტოქე ჰყავდა - ახალციხის

"მესხეთი". მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა, რაც "მესხეთის" ისედაც მინიმალურ შანსს თამაშის დადებითი შედეგით დასრულებაზე კიდევ უფრო ამცირებდა. ამის მიუხედავად, სტუმრებმა ტიტულის შენარჩუნებაზე დაგემოლ მეტოქეს ნამდვილი ბრძოლა გაუმართეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ კაჭარავას გუნდს სამი ქულის მოსაპოვებლად სერიოზულად ემრომა. "დინამომ" ეს შრომა არ დაიზარა და დამსახურებულად გაიმარჯვა. მართალია, ამ მატჩში "დინამოს" გულშემატკივრებმა გოლების ფოიერვერკი ვერ იხილეს, მაგრამ მასპინძლებმა ორი შედეგიანი შეტევა მაინც მოახერხეს, რაც კომფორტული ანგარიშით გამარჯვებისა და, რაც მთავარია, 3 ქულისთვის საკმარისი გამოდგა. ანგარიში 22-ე ნუთზე მერუბაშვილის ჩანოდებისა და გურამ კაშიას თავური დარტყმის შემდეგ გაიხსნა. მეორე გოლი მეორე ტაიმში, 70-ე ნუთზე გავიდა:

კუთხურიდან კოშკაძის ჩამონოდებას ხმალიდან გამოეხმაურა და ზუსტი დარტყმით საბოლოო ანგარიში - 2:0 დააფიქსირა. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ჩემპიონის ტიტულის მფლობელის ვინაობა "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიას" ურთიერთშეხვედრაში გადაწყდება. ამ მატჩამდე სამ კვირაზე ნაკლები დარჩა. "დინამო" "ვიტ ჯორჯიას" 31-ე ტურში, 10 მაისს უმასპინძლებს.

25-ე ტური

გაგრა - სპარტაკი	1:1
ბორჯომი - ლოკომოტივი	1:1
მგლები - ოლიმპი	1:2
დინამო - მესხეთი	2:0
ვიტ ჯორჯია - ზესტაფონი	2:1
სატურნიო მდგომარეობა	
ვიტ ჯორჯია	26 17 8 1 46:15 59
დინამო	26 18 4 4 56:18 58
ოლიმპი	25 12 9 4 29:17 45
ზესტაფონი	25 13 4 8 30:21 43
სიონი	25 10 9 6 28:20 39
ლოკომოტივი	25 8 7 10 26:24 31
მგლები	26 6 8 12 30:33 30
მესხეთი	25 5 6 12 15:33 23
გაგრა	26 5 7 14 20:41 22
სპარტაკი	25 4 7 14 24:40 20
ბორჯომი	26 2 7 17 19:59 13

"ბორჯალოსნები" პოზიციებს ინარჩუნებენ

გასულ კვირაში სარაგბო სამყარო სანაკრებო დონეზე ფაქტობრივად იხვეწებდა. ასე რომ, რეიტინგში ცვლილებები თითქმის არ მომხდარა.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 70.39 ქულით მე-13 ადგილი შეინარჩუნა და მთავარ მიზნად კვლავ იტალიის ჩამოქვეითება აქვს დასახული.

უცვლელია მდგომარეობა ლიდერთა შორისაც. ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის გუნდები რეიტინგს დამაჯერებლად ლიდერობენ.

IRB-ს რეიტინგი 20 აპრილისთვის

1.ახალი ზელანდია	92.68
2.სამხრეთ აფრიკა	89.45
3.ავსტრალია	85.86
4.ირლანდია	83.27
5.არგენტინა	81.56
6.ინგლისი	80.96
7.უელსი	80.59
8.საფრანგეთი	79.94
9.ფიჯი	75.24
10.შოტლანდია	75.23
11.სამოა	72.57
12.იტალია	71.23
13.საქართველო	70.39
14.ტონგა	70.05
15.კანადა	69.12
16.იაპონია	68.05
17.რუსეთი	66.18
18.რუმინეთი	64.26
19.აშშ	63.55
20.ურუგვაი	62.78
21.პორტუგალია	62.16
22.ს.კორეა	59.02
23.ესპანეთი	59.01
24.ჩილე	56.84
25.ნამიბია	56.82
26.გერმანია	55.74

ლურესკუმ ნაკრები უარყო

დონეცკის შახტარის რუმინელი თავკაცი მირჩა ლურესკუ შესაძლოა სულ მალე დაითხოვონ თანამდებობიდან. უცხოურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შახტარიდან ნასვლის შემთხვევაში იგი რუმინეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნება, თუმცა თავად ლურესკუ ამ ფაქტს უარყოფს.

ამ თემაზე რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ნამდვილად ვესაუბრე და ვუთხარი, რომ შემოთავაზებულ წინადადებაზე ერთ კვირაში ვუპასუხებ. თუმცა, მინიმალურია იმის შანსი, რომ ნაკრებს ჩავიბარებ. მეტიც - ის ნულის ტოლია, რადგან კლუბთან მუშაობა მინდა, ამბობს ლურესკუ.

სკოლარი კომპენსაციას მიიღებს

ბრაზილიელი სპეციალისტი ლუიშ ფელიპე სკოლარი, რომელიც თებერვალში ლონდონის ჩელსის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს, კომპენსაციის სახით 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

პორტუგალიელ სპეციალისტს ამ თანხის განაწილება იმ დამმარებლებთან მოუწევს, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ ლონდონურ კლუბში.

ფელიპე სკოლარი "ჩელსიში" გასული წლის ზაფხულში მივიდა, მაგრამ არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო კლუბში ერთი სეზონითაც კი ვერ მოახერხა ადგილის შენარჩუნება. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ჩელსიმ ფოზე მოურინიოსაც გადაუხადა კომპენსაცია. აბრამოვიჩის პორტუგალიელის გუნდიდან გაშვება 24 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუფჯდა.

“კოტბუსი” ნაგებელი მატჩის გამო ფულს იხდის

კოტბუსის ფენერგის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ იმ 600 ქომბაგს, რომელიც გუნდს პარასკევს გელზენკირხენში შალკესთან გასამართ შეხვედრაში თან ახლდა, სტადიონზე შესასვლელი ბილეთის ფულს აუნაზღაურებს.

შეგახსენებთ, რომ ის მატჩი კოტბუსმა ანგარიშით 0:4 დათმო. როგორც ჩანს, სამინლად ჩატარებული თამაშის გამო გუნდის ხელმძღვანელებმა ბოდიშის მოხდა ასეთი სახით გადაწყვიტეს.

“იუვენტუსი” ფანების გარეშე დატოვებს

ტურინის იუვენტუსის იტალიის ჩემპიონატში გასამართ მომდევნო საშინაო მატჩს ცარიელი ტრიბუნების თანხლებით გამართავს.

საქმე ის არის, რომ იუვენტუსისა და ინტერის მატჩში მილანელთა ფორვარდ მარკო ბალოტელის, რომელმაც ბეზერი ქალბატონის კარში გოლი გაიტანა, იუვენტუსმა რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს. სწორედ ამის გამო დაისჯება ბეზერი ქალბატონი.

“ბაიერნი” მეკარეს ეძებს

მიუნხენის ბაიერნის მესვეურები მალალი დონის მეკარის შეძენით დაინტერესდნენ. მას შემდეგ, რაც კარეირა დაასრულა ოლივერ კანმა, რეკორდაისტერებს კარის დარაჯის პოზიციაზე აშკარა ჩავარდნა აქვთ.

იტალიური მედიის ინფორმაციით, მიუნხენური კლუბმა ფიორენტინას 29 წლის ფრანგ მეკარე სებასტიან ფრეის დაადავ თვალა.

გერმანული გრანდი მზად არის, იტალიური კლუბს ფრეის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაუხადოს. თავად ფრეი ფლორენციაში კარგად გრძნობს თავს, თუმცა, მეკარის აგენტის განცხადებით, გამორიცხული არ არის, რომ სებასტიანმა კლუბი მაინც შეცვალოს. შორივი ნარმატებული სეზონის შემდეგ მის გადაბირებას ისევ არაერთი ევროპული გრანდი მოისურვებს. შესაძლოა, მათი ნინადადებებიდან ერთი ისეთი აღმოჩნდეს, რომელზეც ვერც თავად ფრეი და ვერც კლუბი ვერ იტყვის უარს, აცხადებს ფრეის აგენტი.

ფიფა 2.7 მილიარდის მიღებას გეგმავს

ფიფა 2,7 მილიარდ დოლარს გამოიმუშავებს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვის შედეგად. ამის შესახებ განაცხადა ფიფას ერთ-ერთმა მალაჩინოსანმა, მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა ნიკლას ერიქსონმა. ფიფა არა მარტო ტელევიზიით გადასცემს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის თამაშებს, არამედ მობილური ქსელითაც. ტრანსლაციის ორგანიზებისთვის მსოფლიო ფეხბურთის სახლი 162 მილიონს დახარჯავს.

კანავარო “იუვენტუსში” ბრუნდება

“რეალის” იტალიელი ლეგიონერი ფაბიო კანავარო უახლოეს ხანში ტურინის “იუვენტუსში” ითამაშებს. ამისთვის ფეხბურთელი მზადაა დათანხმდეს ხელფასის შემცირებასაც კი. ამის შესახებ იუწყება კანავაროს აგენტი გაეტანო ფელინე. “ფაბიო მოხარული იქნება დაუბრუნდეს “იუვენტუსის” რიგებს. ამისთვის კი მზადაა უფრო ნაკლები გასამრჯელო მიიღოს, ვიდრე მადრიდის “რეალის” რიგებში იღებს. არ ვიცი, რჩევას დაეკითხა თუ არა “იუვენტუსის” ხელმძღვანელობა მარჩელო ლიპის, მაგრამ ფაქტია, რომ ფაბიოს ძალიან უნდა “ბეზერ ქალბატონს” დაუბრუნდეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ რამდენიმე საკითხის გარკვევა მაინც მოგვიწევს. ამის შესახებ კი მხოლოდ მაშინ ვილაპარაკებთ, როცა “რეალი” ოფიციალურ ფაქსს მიიღებს “იუვენტუსისგან,” - ამბობს ფედელე.

სტევენსი “ზალცბურგს” განვრთნის

ჰოლანდიის სხვადასხვა ყოფილი მთავარი მწვრთნელი ჰუბ სტევენსი მომავალი სეზონიდან ავსტრიის ზალცბურგს განვრთნის. 55 წლის ჰოლანდიელმა სპეციალისტმა, რომელიც ამ პოსტზე თანამემამულე კო ადრიაანესს შეცვლის, კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში, სხვადასხვა გარდა, სტევენსი ჰოლანდიის როდას, გერმანულ შალკეს, შვეიცარიის ციოლნს და ჰამბურგს მწვრთნიდა.

ფარულია პლეი-ოფი ორმაგი დუბლით დაიწყო



ფარულიამ მაიამელბს ბურთი თავზე გადაატენა

სააღდგომო უქმეები წარმატებული გამოდგა უცხოეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელებისთვის. NBA-ს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა გადაწყვეტ ფაზაში შევიდა. დაიწყო პლეი-ოფების სერია და ზაზა ფარულიამ აღმოსავლეთ კონფერენციის პირველივე მეოთხედფინალურ მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა.

NBA-ს დარად, პლეი-ოფი უკრაინაშიც დაიწყო. მანუჩარ მარკოვიჩის ბრწყინვალე თამაშის წყალობით, “ბუ კიევმა” ფაქტობრივად დაძლია პირველი ეტაპი. ესპანეთში რეგულარული ჩემპიონატი გრძელდება, ნიკა ცქიტიშვილის გუნდს კი პლეი-ოფში მოხვედრის რეალური შანსი გაუჩნდა. თუმცა, ჯობს, მიყვებით თანამიმდევრობით. ცხადია, NBA-თი დავიწყებთ.

აღმოსავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალში ზაზა ფარულიას ატლანტა ჰოუქსი მაიამი ჰიტს უპირისპირდება. ამ წყვილში საკუთარი მოედნის უპირატესობას ჯორჯიელები ფლობენ. პირველი მატჩი ატლანტაში, ფილიპს არენაზე გაიმართა და მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით - 90:64 დასრულდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, საკუთარ კარიერაში პირველად, ზაზა ფარულიამ საპლეიოფო მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა. აქამდე მას შვიდ ასეთ მატჩში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და შვიდივე გასულ სეზონზე, მოსტონთან გამართულ სერიაზე მოდიოდა.

ჯორჯიელთა ქართველ ცენტრს სათამაშო დრო არც ისე ბევრი ჰქონია. სასტარტო ხუთეულში ის ვერც ამჯერად მოხვდა, თუმცა 19 წუთში მეტოქის ფარს 10-ჯერ შეუტია. აქედან 4 ტყორცნა ზუსტი გამოდგა.

ქართველმა კალათბურთელმა ორივე საჯარიმო ჩააგ-

და. მის მიერ მოგროვებული 10 მოხსნიდან 4 მეტოქის ფარზე განხორციელდა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

ფარულიამ 1 ჩაჭრა მიითვალა, 2-ჯერ დაკარგა ბურთი, 2-ჯერ მას დაუფარეს, მსაჯებმა კი 3-ჯერ დააჯარიმეს.

ზაზას ძირითადმა კონკურენტმა ალ ჰორფორდმა 34 წუთში 14 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. ატლანტელთა რიგებში საუკეთესო ჯომ სმიტი 23 ქულას და 10 მოხსნას გა-

მორჩა.

მაიამელთა მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თამაში არ წაუვიდა ჰიტის ლიდერს დუეინ ვეიდს, რომელმაც 21 ტყორცნიდან მხოლოდ 8 ჩააგდო (19 ქულა), ბურთი კი 8-ჯერ დაკარგა.

უკრაინაში, მანუჩარ მარკოვიჩის ბუ კიევმა მეოთხედფინალური სერიის ორი მატჩი გამართა და ორივეში გაიმარჯვა.

ბუ კიევმა ატლანტასთან

გამართული პირველი მატჩი ანგარიშით 81:68 მოიგო.

ქართველმა კალათბურთელმა 35 წუთში 15 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

მანუჩარმა 12-დან 5 ორქულიანი, 2 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა და 3 ჯარიმა მიიღო.

მეორე მატჩში ატლანტამ უფრო დიდი წინააღმდეგობა გაუწია კიევურ გუნდს, თუმცა მაინც მოიგეს (91:82). ქართველი ამჯერადაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან 27 წუთში 16 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა.

მეოთხედფინალური სერია სამ მოგებად და დღეს კიევლები მესამე მატჩს სტუმრად გამართავენ.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის 29-ე ტურში ნიკოლოზ ცქიტიშვილის ფუნელბრადო ტაირონ ელისის კუბასოლს ესტუმრა და პრინციპულ მატჩში 90:81 იმარჯვა.

ცქიტიშვილს მადრიდელთა სასტარტო ხუთეულში არ უთამაშია, თუმცა, მოედანზე 28 წუთი გაატარა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ქართველმა ფორვარდმა 15 ქულა, 6 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. კუბასოლის სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებელი ტაირონ ელისი, რომელიც 23 წუთში 9 ქულას, 1 მოხსნას და 3 პასს გამოიჩინა.

ცქიტიშვილის ფუნელბრადოს 14 გამარჯვება და 15 ნაგება აქვს და მე-9 ადგილზეა. ასეთივე მაჩვენებელი აქვს მერვე, ფლეი-ოფში გამსვლელ პოზიციაზე მყოფ ტრიკო მანრესას, რომელიც მადრიდელთა მთავარი კონკურენტია.

ჰილსბოროს ტრაგედიას ფარდა აახდება



ჰილსბოროს საქმის მოხსნაზე ღრძობი “საიდუმლო”

ალბათ გახსოვთ გასულ კვირაში გამართული ჩემპიონთა ლიგის მატჩები. შეამჩნევდით, რომ ინგლისური კლუბები მინდორზე შავი სამკლაურებით გავიდნენ, რითაც პატივი მიაგეს ჰილსბოროს ტრაგედიის დროს დაღუპულებს.

1989 წელს ჰილსბოროს სტადიონზე ლივერპულისა და ნოტინგემ ფორესტის სათაშო მატჩი იმართებოდა. ტრიბუნებზე შექმნილ ყელეტაში 96 ადამიანი დაიღუპა. ყველაფერი ლივერპულის გულშემატკივართა სექტორში მოხდა. ყელეტა მას შემდეგ დაიწყო, რაც უკვე გადაჭედულ ტრიბუნას გულშემატკივართა დიდი არმია მიანყდა. დაღუპულთა უმრავლესობა პირველ რიგებში იყო. ისინი ტრიბუნასა და სტადიონს შორის არსებულ დამცვე ჯებირს შორის აღმოჩნდნენ გამომწყვდეული.

ოფიციალური ვერსიით, მსხვერპლი უბედურ შემთხვე-

ვას მიანერეს. მაშინ არავინ დასჯილა. დაღუპულთა ოჯახები კი ასეთი ვერდიქტით არ დაკმაყოფილდნენ. ითქვა კიდევ, რომ სამართალდამცა-

ვებმა სრულყოფილი გამოძიება არ ჩაატარეს.

იმ ტრაგედიის შემდეგ 20 წელი გავიდა. და აი, გაზეც ტაიმის ინფორმაციით, ბრი-

ტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ჰილსბოროს ტრაგედიის საქმეს მოეხსენება გრიფი “საიდუმლო” და ყველა ის მასალა, რომელიც ამჟამად ფართო საზოგადოებისთვის დაფარულია, საჯარო გახდება.

სავარაუდოდ, ამ დოკუმენტებში მოთხრობილი იქნება იმ შეხვედრის თაობაზეც, რომელიც 1989 წელს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერსა და სკოტლანდ იარდის მალაჩინოსნებს შორის გაიმართა.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, კერძოდ როდის მოეხსენება გრიფი “საიდუმლო” ამ მასალებს. ბრიტანულმა პოლიციამ ჯერ კიდევ უნდა გაიაროს კონსულტაციები იუსტიციის სამინისტროსთან. არც ის არის გამოცხადებული, რომ სანამ ამ მასალებს საჯარო გახდის, მათ დაღუპული 96 ადამიანის ჭირისუფლებს გააცნობენ.

უილკინსონი "ტულონში"

ინგლისის ნაკრების ლეგენდარული მორაგბე, 2003 წლის მსოფლიო თასის მფლობელი ჯონი უილკინსონი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ "ნიუკასლიდან" ფრანგულ "ტულონში" გადავა, სადაც ქართველი მორაგბეები დათო ქუბრიაშვილი და გაილაბაძე თამაშობენ. წლიურ ჯამაგირად ინგლისელი 700 ათას ევროს მიიღებს. მასვე გადასცემენ სახლს დიდი აუზით ზღვისპირას. 30 წლის უილკინსონმა თავისი საკლუბო კარიერა "ნიუკასლში" გაატარა. გასული წლის სექტემბერში ჯონიმ მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც მთელი სეზონი გაუცდა. მის გარეშე საკმაოდ გაუჭირდა "ნიუკასლს" - ინგლისის ჩემპიონატის პლეიოფში ვერ გავიდა. "ბოლო ერთი კვირაა, ჯონს ჩვენთან არ უვარჯიშია. არ არის საჭირო მისი აღდგენითი პროცესი ფორსირებული მეთოდით დავაჩქაროთ. სირცხვილი იქნება, თუ მისი ბოლო თამაში "გლოსტერთან" შედგება, იმ გუნდთან, რომელთანაც უილკინსონმა ტრავმა მიიღო," - ამბობს "ნიუკასლს" სპორ-



ლეგენდარული ჯონი უილკინსონი მომავალ სეზონში "ტულონის" ღირსებას დაიცავს

ტული დირექტორი სტივ ბეიტსი. ამასობაში, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, გაილაბაძისა და დათო ქუბრიაშვილის "ტულონმა" თითქმის გაინაღდა "ტოპ 14"-ში დარჩენა. "შრომანებმა" სეზონის მთავა-

რი გამარჯვება მარსელის "ველოდრომზე" მოიპოვეს, როცა ქვეყნის ჩემპიონი "ტულუზი" დაამარცხეს - 14:6. ამ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნაკრების ორივე მორკინალმა - პირველი ხაზის ბურჯი ქუბრიაშვილი რჩეულ 15-ში გამოვიდა

და 49-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო ვეტერანი გაილაბაძე 70-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. ამ მოგების შემდეგ "ტულონმა" საქართველომ ცხრილში მე-11 პოზიცია გაიმყარა. შეგახსენებთ, რომ "ტოპ 14"-დან მეორე დივიზიონში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები დაქვეითდებიან.

რედ ბულის წარმატება შანხაიში



"რედ ბულის" წარმატება შანხაიში

წვიმიან რბოლაში, პოზიციის დაუკარგავად, სამეფო რბოლათა მიმდინარე სეზონის პირველ გამარჯვებას გამოჰკრა ხელი რედ ბულის გერმანელმა მესაჭემ სებასტიან ფეტელმა. ავსტრიულმა საჯინობო შანხაის ტრასაზე მრბოლთა დამსახურებით დუბლიც გაახერხა. ეს გუნდის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. შანხაიში განვითარებულ წმინდა სპორტულ მოვლენებს შეეგებათ და, ზოგადად, ჩინეთის დიდ პრიზთა და კავშირებულ რამდენიმე საინტერესო ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება.

- პირველი პოული, პირველი გამარჯვება და რედ ბულის სამეფო პირველი დუბლი. წინაშე, როგორც მელიც რედ ბულის ძრავებით ამარაგებს, 155-ე პოული იხიება. გამარჯვებით კი 116-ე გამარჯვებას მიაღწია. - სებასტიან ფეტელმა კარი-

რის მეორე პოული და გამარჯვება მოიპოვა (მეორე ადგილიც რედბულელმა ავსტრალიელმა მარკ უებერმა დაიკავა. მესამე იყო შრაუნ GP-ის ინგლისელი მრბოლი ჯენსონ ბატონი. რედ). - სეზონის პირველ სამ რბოლაში გამარჯვება კვალიფიკაციის მომგებს დარჩა. თუ ამას შარშანდელი სეზონის ბოლო ორ რბოლასაც დაემატებთ, გამოდის, რომ ზედმედ მეტუთედ კვალიფიკაციის ფინალური ფაზის ყველაზე სწრაფი მრბოლი ძირითადი რბოლის გამარჯვებულად გვევლინებოდა. - შრაუნ GP-ის ინგლისელი მესაჭე ჯენსონ ბატონი ზედმედ მესამედ ავიდა კვარცხლბეკზე. 2004 წლის შემდეგ ასეთი რამ ბატონს არ შემთხვევია. ხუთი წლის წინათ კი იტალიისა და იაპონიის დიდ პრიზებს შორის სამჯერ ავიდა კვარცხლბეკზე. - ავსტრალიის, მალაიზიისა და ჩინეთის დიდმა პრიზებმა ისე

ჩაიარა, წინა რიგებში არ გამოჩენილან მაკლარენისა და ფერარის წარმომადგენლები. ასეთი რამ ბოლოს მოხდა 12 წლის წინათ, 1996 წლის ბელგიისა და 1997 წლის ავსტრალიის დიდ პრიზებს შორის. - ზედმედ სამ რბოლაში სკუდერიელები ბოლოს 13 წლის წინათ დარჩნენ უქულოდ. საუბარია 1996 წლის სეზონზე კანადისა და დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზებს შორის. - ბოლო სამ რბოლაში ფერარისა და მაკლარენის ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ დაიკავა ადგილი საუკეთესო სამეფულში. ბოლოს ასეთი რამ მოხდა 16 წლის წინათ - 1993 წელს კანადისა და დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზებს შორის. - შრაუნ GP-ის ბრაზილიელი მრბოლი რუბენს ბარიკელო კარიერაში მეთექვსმეტეჯერ მოგვევლინა საუკეთესო წრის ავტორად. სამხრეთამერიკელს ბოლოს

ასეთი შედეგი ჰქონდა 2004 წელს იაპონიის დიდ პრიზზე. და, საერთოდ, სამეფო რბოლათა დებიუტანტმა გუნდმა მეორედ გამოიჩინა თავი უსწრაფესი წრით. შრაუნ GP-ის ძრავებით მომზარავებული მერსედესისთვის კი ასეთი შედეგი 79-ეა. - ჩინეთის დიდ პრიზამდე რენოს ესპანელი მრბოლს ფერნანდო ალონსოს შარშანდელი ესპანეთის დიდი პრიზის შემდეგ (შესაბამისად, უკანასკნელი 16 ეტაპის განმავლობაში) მონივნავთა რიგებში ადგილი არ დაუკავებია. - სამი რბოლის განმავლობაში ფერარის ანგარიშზე კვლავ წული ქულაა. სკუდერიელებს მსგავსი შედეგი არ ჰქონიათ 1981 წლის შემდეგ. - ჩინეთის დიდი პრიზის 56-დან 35 წრეზე რედ ბულის ბოლიდები უსწრაფესები იყვნენ.

რიებრის შეძენა "ინტერსაც" მოუნდა

ფრანკ რიებრის შეძენის მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ფრანგი შემტვევის გადაბირებას ახლა მილანის ინტერიც აპირებს. შავ-ლურჯები სამ საკითხთან დაკავშირებით უკვე გასაუბრებიათ ბაიერნის გამგეობის თავმჯდომარეს კარლ-ჰინც რუმენიგეს, რომელმაც მილანელებს განუმარტა, რომ ბაიერნი რიებრისთან განშორებას არ აპირებს, თუმცა ამავე დროს შეპირებია, რომ, თუ მომავალში კლუბი ჯადო ფრანგის გაყიდვას გადაწყვეტს, ინტერს მისი უპირატესი შეძენის უფლება ექნება.

კარლიტომ "ჩელსი" უარყო

იტალიის მილანის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ლონდონის ჩელსიში გადასვლას არ გეგმავს. მიუხედავად იმისა, რომ არ ვაპირებ მთელი ცხოვრება მილანში გავატარო, ჩელსიში არ გადავალ. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, ამ ხმების გავრცელება შეწყდება. ჩელსი შესანიშნავია გუნდია. ამიტომ არ შემიძლია ვთქვა, რომ ამ გუნდში მუშაობა არ მსურს, - განაცხადა ანჩელოტიმ.

დიეგო ტურინისკენ იყურება

გერდერის 23 წლის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა დიეგომ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ტურინის მიუვენტუსში თამაში სურს. შერია ა-ში ბევრი დიდებული მოთამაშე გამოდის და ფეხბურთის დონე ძალიან მაღალია, - თქვა მან, - სიამოვნებით ვითამაშებდი ამ ფეხბურთელების წინააღმდეგ მიუვენტუსის შემადგენლობაში. ჩემი აზრით, იტალია ჩემთვის წინსვლისა და თავის გამოჩენის საუცხოო ასპარეზი იქნებოდა.

"შობედა" დასატეს

უეფას დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით, სპორტული პრინციპების დარღვევის გამო, მაკედონიური შობედა ვეროთასებს რვა წლით ჩამოშორდა. ამის მიზეზი გახდა 2004 წელს ჩემპიონთა ლიგაში სომხურ შიუნკიტან ნაგებულმა მატჩი, რომელიც, უეფას აზრით, მაკედონიურმა კლუბმა შეგნებულად დათმო. უეფას კომიტეტის მიერ მოწყობილ სამსაათიან საქმის განხილვას შობედას ხელმძღვანელობა და საბუკმეიკრო კანტორების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უეფა გარიგებულ მატჩების წინააღმდეგ მთელი სიმკაცრით იბრძოლებს, - განაცხადა უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ.

ვორონინს "ლივერპულში" აბრუნებენ

ლივერპულის მიერ ბერლინის შერტასთვის ერთი სეზონით მიქირავებული უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი ვორონინი ზაფხულში ისევ ვენფილდს დაუბრუნდება. ბარგის გადასატანი მუყაოს ყუთები უკვე შევუკვეთე. აქაურ ბინას დაახლოებით თვე-ნახევარში დავცელი - იმ დროისთვის კლუბებს შორის შეთანხმების ვადაც გავა, - თქვა ვორონინმა. ბერლინურ კლუბს ვორონინის ტრანსფერის გამოსყიდვა სურდა და შერტას მესვეურებმა მერსისაიდელს სარფიანი წინადადებითაც მიმართეს, თუმცა ტრანსფერი მაინც არ შედგა.

"იბრა" არ გაიყიდება

იტალიური "ინტერის" თავკაცი ჟოზე მოურინიო დარწმუნებულია, რომ შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, სულ მცირე, მომავალ სეზონსაც "ნერაძურის" ფორმით ჩაატარებს. პორტუგალიელ სპეციალისტს ამის საფუძველს აძლევს ფეხბურთელი უზარმაზარი სატრანსფერო ღირებულება, რომლის გადახდას, მოურინიოს აზრით, ვერც ერთი კლუბი ვერ შეძლებს. "არა მგონია, ზაფხულში იბრას რეალური მყიდველი გამოჩნდეს. თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ სულელურ წინადადებებს არ ველი. სულელი იქნება ნებისმიერი, ვინც ზლატანის სანაცვლოდ ორმოც, ორმოცდაათ, ან თუნდაც სამოც მილიონს შემოგვთავაზებს. ყველამ იცის, რომ ასეთ ვარიანტს არც კი განვიხილავთ, რადგან ეს აშკარად არ არის ზლატანის ფასი. არც ისეთი სულელი მეგულება საფეხბურთო სამყაროში, ვინც დღევანდელ სტუატიაში იბრაჰიმოვიჩი მის რეალურ ღირებულებას - 100 მილიონ ევროს გადაიხდის. მოკლედ, სულელურ წინადადებებს არ ველი და ძალიან მსიამოვნებს ზლატანთან ერთად, სულ მცირე, კიდევ ერთი სეზონის გატარება რომ მომიწევს," - თქვა მოურინიომ.



ბოლო წლებში ასე დამკვიდრდა: ფრანგები ტრანსატლანტიკურ გადაცურვებში ყოჩაღობენ. მათ გადაცურვებში საარაკო ის არის, რომ მარტო აკეთებენ მსგავს რაღაცებს. ახლაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საკმე. პატრიკ შუაიომ საკუთარი ნავით სენეგალის სენტ ლუისიდან საფრანგეთის გვიანამდე მარტომ მოუსვა ნიჩბები და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა პოსეიდონის სამყაროში.

საბავშვო საკომისიო მაღაზია

ჭ ო ჭ ი ნ ა

მაღალი ხარისხის საბავშვო საქონელი ყველაზე იაფად!

15 ლარი

5 ლარი

10 ლარი

10 ლარი

10 ლარი

15 ლარი

10 ლარი

3 ლარი

10 ლარი

5 ლარი

50 - 150 ლარი

ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N6, ტელ: 897 46 25 26, 855 100 809. www.welcom.ge/chochina; E-mail: chochina.chochina@gmail.com,



1 მარტიდან

საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამონერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



თვითმცლელი: BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა 1 დღე



ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
 მწარმოებელი: BMC
 მოდელი: BMC PRO 935 FTE
 მოცულობა: 10 მ.3
 ძრავი: Cummins C 350-20
 (Euro2) Turbo Intercooler
 სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
 გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
 ბეტონშემრევი დანადგარი:
 LIEBHERR
 გარანტია: 1 წელი
 მიწოდების ვადა: 1 დღე



ქ. თბილისი, ღ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

TEGETA TRUCK & BUS LTD

☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

ბანცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "თბილისის ავტობუსი" "დაფი"-ს მარკის ავტობუსების კაპიტალური შეკეთების შეს-
ყიდვის მიზნით აცხადებს საერთაშორისო ტენდერს და მონაწილეობის მისაღებად ინვესტს ყვე-
ლა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია: 2 ერთეული "დაფი SB-220"-ს მარკის ავტობუსის კაპიტალური შე-
კეთება.

2. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 60 კალენდარული
დღის ვადაში.
შეკეთებული ავტობუსების მიწოდების ადგილია: "მიმწოდებლის" სარემონტო ბაზა.

3. პრეტენდენტი სატენდერო საფასურის 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვით-
რის წარმოდგენის შემდეგ (სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საინდენტიფიკა-
ციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N34079816405025740000) ქართულ ენაზე
შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებს 22 აპრილის 11 საათიდან 11 მაი-
სის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. N8 VI სართული, სატენდერო
კომისიის აპარატი.

4. პრეტენდენტმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის განაცხადი უნდა წარმოადგინოს
12 მაისს 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ცაბაძის ქ. N8 VI სართული, სატენდე-
რო კომისიის აპარატი. წარმოდგენილ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დახურულ კონვერტში
მოთავსებული სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილს უნდა
ერთვოდეს ქართულ ენაზე ნოტარიულიდ დამოწმებული თარგმანი) და საკვალიფიკაციო მო-
ნაცემები (ორიგინალი და ორი A4 სელი).

5. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურე-
ბელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

5.1 იურიდიულ პირთათვის:

- ა) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გა-
კოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადე-
ბული ყადაღა;
- დ) ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორ-
განიზაცია ან ლიკვიდაცია.
- ე) ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექ-
ციიდან).

5.2 ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმო-
ება.

6. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექა-
ნიზმი: საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 1 %-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის
მექანიზმი: საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 5%.

8. ტენდერი ტარდება <შ.პ.ს. "თბილისის ავტობუსი"-ს მიერ საქონლის, მომსახურების და
სამუშაოს შესყიდვის განხორციელების წესი>-ს შესაბამისად.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონა-
ცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ შესაბამისად მათი ქვეყნის
უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე, ნოტარიულიდ დამოწმებული თარგმანის სა-
ხით.

შემსყიდველი იტოვებს უფლებას:

- 1. მოსთხოვოს პრეტენდენტებს საბანკო გარანტიის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ
გარანტორს არ აქვს შესრულებული შ.პ.ს. "თბილისის ავტობუსი"-ს წინაშე აღებული წინა
წლების ვალდებულებები.
- 2. არ განიხილოს იმ კომპანიების სატენდერო წინადადებები, რომელთაც არ აქვთ
შესრულებული წინა წლებში ნაკისრი ვალდებულებები.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატის წე-
რებს: ნინო ყანჩაველს და გიორგი ქემოკლიძეს. ტელ: 43 73 20

ბანცხადება ღია კონკურსის ჩატარების თაობაზე

1. სს აკად. ო. ლუღუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" (შემდგომში - ცენტ-
რი") აცხადებს განმეორებით ღია კონკურსს ცენტრის საჭიროებისათვის სამედიცინო დანიშ-
ნულების ერთჯერადი და მრავალჯერადი მოხმარების საგნების შესყიდვაზე და კონკურსში
მონაწილეობის მისაღებად ინვესტს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია - "სამედიცინო დანიშნულების ერთჯერადი და მრავალჯერადი
მოხმარების საგნები", რომელთა მონოდების ვადაა 6 (ექვსი) თვე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ,
საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადება (დედანი და ასლი), ქართულ ენაზე
უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 30 აპრილის 15:00 საათისა შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, "ცენტრი"-ს მე-3 სართული, ოთახი N301.

4. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს
შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

- ა. ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
- ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის
შესახებ;
- გ. ხარისხის და წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი.
- 5. ტექნიკური დავალების გაცემა პრეტენდენტებზე განხორციელდება 2009 წლის 14 აპრი-
ლიდან 2009 წლის 29 აპრილის 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: ქ.
თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, "ცენტრი"-ს მე-3 სართული, ოთახი N301.
- 6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართ-
ზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, "ცენტრი"-ს მე-3 სართული, ოთახი N301, ტელ: 54 09 33.

საკონკურსო კომისია



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მონევა ფასთა კოტირების ნარდგანაზე

საიდენტიფიკაციო ნომერი: #MDF/NS/007/09

დაფინანსების წყარო: მფფ-ს საკუთარი სახსრები

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ფასთა კოტირების ნარდგანაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტირებები საქართველოს მუნიციპალური განვითარების საოფისე ფართისა და ძირითადი საშუალებების დაზღვევის მიზნით.

2. ფასთა კოტირების შეფასება განხორციელდება ფასების შედარების საფუძველზე და კონტრაქტი მიენიჭება ფირმას, რომელიც წარმოადგენს (I) ტექნიკურად შესაბამის და (II) ყველაზე დაბალი ფასის მქონე წინადადებას.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ უფასოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150, IV სართ., ოთახი N405; ტელ: +99532 484510, 484511, 484515 (შიდა ნომერი - 117) ფაქსი: 484555 ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge ვებ-გვერდი: www.mdf.org.ge 4. კოტირების მიღების ბოლო ვადა (ზემოთ მითითებულ მისამართზე) არის: 2009 წლის 30 აპრილის, 17:00 საათი.

მონევა დაინტერესების წერილის გამოსაგზავნად

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იწვევს იურიდიულ პირებს/საკონსულტაციო ფირმებს გამოხატონ თავიანთი ინტერესი განხორციელონ მომსახურება შემდეგ დარგში: ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის შესწავლა.

- მომსახურება მოიცავს: - საბიუჯეტო დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობის ანალიზი და ინგლისური ენის სწავლების საჭიროების განსაზღვრა; - საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომელთა ინგლისურის ენის ცოდნის დონის შეფასება, სასწავლო ჯგუფების რაოდენობისა და ზომის განსაზღვრა სასწავლო პროცესის მაქსიმალური ეფექტურობის მიზნით; - თითოეული ჯგუფისთვის სათანადო პროგრამის შედგენა; - სასწავლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოების შერჩევა; - საქმიანი მიმონერის შესწავლა (ოფიციალური, ელექტრონული); - ანგარიშებისა და პრეზენტაციების ინგლისურად მომზადების შესწავლა; - ყოველი ჯგუფისთვის სათანადო აუდიო/ვიდეო მასალების შერჩევა; - საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომელთა დახმარება მიღებული ცოდნის გამოყენებაში (პერიოდული პრეზენტაციები, ანგარიშები და ა.შ.); - ტესტირების სისტემის შედგენა და გამოყენება სწავლების შედეგების მონიტორინგის მიზნით.

მომსახურების ხანგრძლივობაა 9 თვე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკონსულტაციო ფირმა უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის სწავლების მინიმუმ ათწლიანი

გამოცდილება; საკონსულტაციო ფირმა უნდა ჰყავდეს ინგლისური ენის მინიმუმ სამი სპეციალისტი შემდეგი კვალიფიკაციით:

- უმაღლესი განათლება უცხო ენებში (ინგლისური ან ბიზნეს-ინგლისური, აგრეთვე სერთიფიკატი TOEFL, IELTS და ა.შ. სწავლებაში);
- მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება ჯგუფებისთვის ინგლისური ენის სწავლებაში;
- სასურველია სერთიფიკატის ქონა ეკონომიკის სფეროში.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს ინტერესის გამოსახატავად აღნიშნული მომსახურების უზრუნველყოფაზე. დაინტერესებულმა საკონსულტაციო ფირმებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია (ინფორმაცია ფირმის შესახებ, ძირითადი პერსონალის CV-ები, განუული მსგავსი მომსახურების აღწერა და ა.შ.).

საკონსულტაციო ფირმის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების მიხედვით - ფირმების შერჩევა კვალიფიკაციის საფუძველზე.

დაინტერესებულ საკონსულტაციო ფირმებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00 - 17:00 საათამდე.

დაინტერესების წერილები წარმოდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 2009 წლის 6 მაისისა შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქუჩა N16, VII სართული, ოთახი 7-10

საინტელექტუალური მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი დირექტორი თინათინ კაჭკაჭივილი

ტელ: (+995 32) 26-15-80

ელ-ფოსტა: procdep@mof.ge

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. დაინტერესებულმა პირებმა შეუძლიათ ჩატარების სატენდერო მისაჯრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: „საქართველოს სახალხო ბანკის“ კასპის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101478, მიღების ანგარიშის №33030056, საიდენტიფიკაციო კოდის №232555302. წარმოადგინეთ თანხის გადახდის ქეითარი, რის შემდეგაც გადამოკვეთთ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 22 აპრილიდან - 13 მაისის 18:00 საათამდე.

2. შესყიდვის ობიექტები:

I ლოტი -

- 1. ქალაქ კასპში წვეთლის ქუჩებისა და 26 მაისის ქუჩების სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.
- 2. ქალაქ კასპში კოსტავას ქუჩაზე სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია.
- 3. ქალაქ კასპში მიკრორაიონში მირიან მეფის №41,39,27,35,33,29,31,37 და 53,47,49,51 მრავალსართულიან საცხოვრებელ ბინებთან მისასვლელი სასმელი წყლის ქსელის სრული რეაბილიტაცია.

3. სამუშაოს შესრულების ვადა მითითებული იქნება სატენდერო წინადადებაში.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა ქალაქი კასპი, მურაბ კოსტავას ქუჩა №18. აღმინისტრაციული შენობა, მეორე სართული. საკონტაქტო ტელეფონები: 8 271 2 24 24; 2 25 15;

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1.1. იურიდიულ პირისათვის:

- 1.1.1. იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციის);
- 1.1.2. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის გაკატრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- 1.1.3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან დიკლინაცია;
- 1.1.4. ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოდან რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ვადალა.

1.2. ფიზიკური პირისათვის:

- 1.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.
- 1.2.2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკატრებისა და სანაციის საქმე.
- 1.2.3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- 1.2.4. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

1.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

- 1.3.1. მონაწილის იურიდიული ხტატუსი (ახლის დართვით), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მიღვაწეობის ძირითადი ადგილი (მთითით საკონტაქტო პირი და ტელეფონი).
- 1.3.2. ცნობა მასზედ რომ ბიუჯეტის წინაშე არ გაანხია დაგვიანება (საგადასახო ინსპექციიდან);
- 1.3.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მომწოდებლების რეესტრში.
- 1.3.4. ცნობა საბანკო ანგარიშზე ვადლის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
- 1.3.5. ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოს გამოცდილების შესახებ

1.3.6. ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების შესახებ, - მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.)

№	მანქანა მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობისა და სარგებლობის ფორმა
---	---------------------------------	---------------------------------	-----------	---	--

1.3.7. ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

№	თანამდებობა, სპეციალობა	ცვარი სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
---	-------------------------	--------------	------------------------------------	---

1.3.8. აუდიტის დასკვნა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (2008 წლის მდგომარეობით);

1.3.9. ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წამოღებულ საფაგებულთა ასევე მონაწილე პირის სუბ-კონტრაქტორებისათვის.

2. ტენდერში მონაწილე ვერ გაიფიქსირა საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დაღვნილ ვადებში არ წარმოადგენს მოცემულ კვება ცნობასა და ინფორმაციას, ან ეძღება აღმინდება.

3. პრეტენდენტებს უვლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება, აღტერნატული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია;

4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მისაჯრებლის გადახდის დამადასტურებელი ქეითრის წარმოდგენის შემდეგ) განხორციელდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 13 მაისის 18 სთ-მდე პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მურაბ კოსტავას ქუჩა №18.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინონ 2 ვადად (1 დედანი, უნდა იქნეს ორიგინალის ან დამოწმებული ასლების სახით და 1 ასლი). დაღუქული კონფერტით ხელმოწერილი და ბუკედარტქმული, 2009 წლის 14 მაისის 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მურაბ კოსტავას ქუჩა №18. საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო დოკუმენტაციის პირველადი შეფასება მოხდება მსურველ პრეტენდენტთა თანდასწრებით 2009 წლის 14 მაისის 16 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მურაბ კოსტავას ქუჩა №18.

6. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

7. დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაცია, წინასწარ სატენდერო წინადადების გაცანამდე შეიძლება მიიღონ შემდეგ პირისგან: ნინო ფინიფაშვილი 8 99 32 84 94, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მურაბ კოსტავას ქუჩა №18, მეორე სართული.

სატენდერო კომისია

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა
---	---------------------	-------------------------	--------------------------	---

ბანცხადება ტენდერის გადავადების შესახებ

სსიპ ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის მიერ 2009 წლის 8 აპრილს გამოცხადებული ტენდერი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე - სამუშაოთა მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით გადატანილია 2009 წლის 30 სექტემბრის 15 საათამდე.

სატენდერო კომისია

განცხადება

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ!

ს.ს.ი.პ. "სანარმოთა მართვის სააგენტოს" 2009 წლის 18 მარტის ბრძანება N1-3/119 საფუძველზე განხორციელდეს ს.ს. "მომავალი"-ს ს.ს. "იავნანასთან" შერწყმა. აღნიშნულ საზოგადოებათა ქონება გაერთიანდეს და შეტანილ იქნას ს.ს. "იავნანას" კაპიტალში. გაერთიანებული საწარმოს საფირმო სახელწოდებად დარჩეს - ს.ს. "იავნანა". საზოგადოების იურიდიული მისამართია: გორი, ჭავჭავაძის ქ. N104; ს.ს. "იავნანა" წარმოადგენს ს.ს. "მომავლის" სამართალმემკვიდრეს.

ღირექცია

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი- ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ს.კოდი 218065910, აცხადებს ტენდერს ქ. გორში და მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლით მომარაგების სისტემების მშენებლობის და რეაბილიტაციის სამუშაოების შესასყიდად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა დაყოფილია 5 ლოტად, თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული ლოტი- I სოფელ ტინისხიდის სასმელი წყლით მომარაგების სისტემების მშენებლობა-პირველი ეტაპი.

ლოტი II ქ. გორში ვერხვების დასახლებაში (სუხიშვილის ქუჩა) სასმელი წყლით მომარაგების საუბნო ქსელის რეაბილიტაცია.

ლოტი III - ქ. გორში ნადირაძის ქუჩის სასმელი წყლით მომარაგების მაგისტრალის მდ ლიახვის კალაპოტიდან ამოტანა.

ლოტი IV -სოფელ ხიდისთავის წყალსადენის სათავე ნაგებობის და სოფელ ატენის მაგისტრალური მილსადენის ნაწილის რეაბილიტაცია

ლოტი VI- სოფელ თედონინდის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, სოფელ შინდისის უბნის სასმელი წყლით მომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, სოფელ შერთულში სადანიეო კოშკის მონტაჟი.

2 სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 სექტემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, მოთავსებული დახურულ პაკეტებში (შელწევადობის გარეშე), 2009 წლის 13 მაისს 10 საათიდან-15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზ. N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში (ოთახი N205).

4 საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციო საქმის წარმოება;
- ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება;
- ე) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექცია).
- ვ) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- ზ) ინფორმაცია უკანასკნელ პერიოდში ანალოგიური მიწოდების შესახებ..
- თ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ.შ. ანალოგიურ

რი საქმიანობის სფეროში

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება;
- დ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექცია).
- ე) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ
- ვ) ინფორმაცია უკანასკნელ პერიოდში ანალოგიური მიწოდების შესახებ..
- ზ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ.შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 2009 წლის 22 აპრილის 10 საათიდან - 2009 წლის 11 მაისის 17 საათამდე. სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისას შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზ. N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში (ოთახი N205).

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარი გადარიცხული უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა , ს/კოდი - 218035016; ბ/ კოდი 220101222, ანგარიშის N 200122900, სახაზინო კოდი 300433174, სატენდერო მოსაკრებელი

7. პრედენტენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

8. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ის ოდენობით-საბანკო გარანტიის ფორმით

9. პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 13 მაისს 15 საათზე, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე

10. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას

12 დაფინანსების წყარო -ცენტრალური ბიუჯეტი

13 დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატს: მურაზ შიოშვილი ტელ 8 (270) 7-26-31; 895 95 98 91. მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე (ოთახი N205).

14 შერჩევის დროს პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დასუსტებას არ ექვემდებარება.

15. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელია

სატენდერო კომისია

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ ბანცხადებაში

